THE SERVICE OF GOOD FRIDAY – THE ORIGIN OF THE CHRISTMAS - EPPIPHANY RITUAL (ON THE EXAMPLE OF GEORGIAN LITURGICAL PRACTICE)

ვნების პარასკევის მსახურება - შობა-ნათლისღების რიტუალის სათავე (ქართული ლიტურგიკული პრაქტიკის მაგალითზე)

TAMAR CHKHEIDZE
PhD in Art Studies
Professor at Giorgi Mtatsmindeli University of Chant
(+995) 599114160
tchkheidze69@gmail.com
ORCID ID: 0009-0000-4965-1152

NUN NINO SAMKHARADZE
Doctoral Student at V. Sarajishvili Tbilisi State Conservatory
(+995) 599031135
nino.samkharadze@tsc.edu.ge
ORCID ID: 0009-0008-4595-5974

Abstract: This paper aims to identify the theological and musical-hymnographic connections among the services of Good Friday, Christmas, and Theophany, and to highlight the primordial liturgical-symbolic significance of Holy Friday as the "archetype of the divine services," based on the Georgian ecclesiastical tradition.

The study relies on Georgian and Greek liturgical sources from various periods, the so-called "Lists of Chreli" (verbal musical notation), and notated chant manuscripts. These materials reveal shared hymnographic and musical features among the three feasts, including identical psalmic refrains, common poetic structures, and rhythmic-melodic models.

The article also examines the relationship between the three-ode canon (Triodion) of the pre-Christmas and Theophany days and the canon cycle of Holy Week, as well as the interconnections among the "Chreli" verses of Holy Friday, Christmas, and Theophany.

Furthermore, it explores the links between St. Theophanes Graptos's Canon of the Supper of Holy Friday, Catholicos Anton's Canon of the Savior's Tunic for Matins, and St. Cosmas of Jerusalem's three-odes of Good Friday. Finally, the cycle of "Shekhvetiliani," the hymns of the Matins of Good Friday, is discussed as a unifying musical framework interweaving the Heirmoses of various echos and services.

Keywords: Good Friday, Christmas, Epiphany, Royal Hours, Three Odes, Kosmas of Maiuma, Georgian Liturgical Practice.

თამარ ჩხეიძე
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი
გიორგი მთაწმინდელის სახ. გალობის უნივერსიტეტი
(+995) 599114160
tchkheidze69@gmail.com
ORCID ID: 0009-0000-4965-1152

მონაზონი ნინო სამხარაძე
თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დოქტორანტი
(+995) 599031135
nino.samkharadze@tsc.edu.ge
ORCID ID: 0009-0008-4595-5974

აბსტრაქტი: სტატია მიზნად ისახავს ვნების პარასკევის, შობისა და ნათლისღების მსახურებებს შორის საღვთისმეტყველო და მუსიკალურ-ჰიმნოგრაფიული კავშირების დადგენას და ვნების პარასკევის, როგორც განგებათა სათავის, პირველსაწყისი ლიტურგიკულ-სახისმეტყველებითი მნიშვნელობის წარმოჩენას ქართულ საეკლესიო ტრადიციაზე დაყრდნობით.

კვლევის საფუძველია სხვადასხვა ეპოქის ქართული და ბერძნული ლიტურგიკული წყაროები, „ჭრელთა ნუსხები“ და საგალობელთა სანოტო ჩანაწერები, რომლებზე დაყრდნობითაც იკვეთება სამი განგების საერთო ჰიმნოგრაფიულ-მუსიკალური მახასიათებლები — იდენტური ძლისპირები, საერთო პოეტური ფორმები და რიტმულ-მელოდიური მოდელები.

სტატიაში ყურადღება ეთმობა შობა-ნათლისღების წინადღესასწაულთა სამსაგალობლების მიმართებას ვნების კვირის კანონთა ციკლთან; აგრეთვე, ვნების პარასკევის, შობისა და ნათლისღების „ჭრელი“ მუხლების ურთიერთკავშირს.

გამოკვლეულია წმიდა თეოფანე გრაფტოსის ვნების პარასკევის სერობის კანონისა და ანტონ კათალიკოსის საუფლო კვართის საცისკრო კანონის კავშირი კოზმა იერუსალიმელის ვნების პარასკევის სამსაგალობელთან. ამათან, „შეხვეტილიანი“ — ვნების პარასკევის ცისკრის საგალობელთა ციკლი განხილულია, როგორც შემკვრელი და გამაერთიანებელი სხვადასხვა ხმისა და განგების ძლისპირთა ჰანგებისა.

საკვანძო სიტყვები: ვნების პარასკევი, შობა, ნათლისღება, სამეუფეო ჟამები, სამსაგალობელი, წმ. კოზმა იერუსალიმელი, ქართული ლიტურგიკული პრაქტიკა.

შესავალი: სამეცნიერო ლიტერატურაში უმეტესად ავტონომიურად განიხილება ვნების პარასკევის[1], შობისა[2] და ნათლისღების[3] დღესასწაულებთან დაკავშირებულ საგალობლები და ლიტურგიკული ტრადიციები. თუმცა იშვიათია ნაშრომი, რომელიც შეისწავლის ამ დღესასწაულების კავშირებს და საერთო მახასიათებლებს სხვადასხვა (თეოლოგიური, მუსიკალურ-ლიტურგიკული) ასპექტებით. წინამდებარე სტატიის მიზანია ვნების პარასკევის მსახურების - როგორც შობისა და ნათლისღების რიტუალის საფუძვლის წარმოჩენა; სამი მნიშვნელოვანი ლიტურგიკული დღის — შობის, ნათლისღებისა და ვნების პარასკევის ჰიმნოლოგიურ-მუსიკალური კავშირების დადგენა ქართულ ლიტურგიკული პრაქტიკის მაგალითზე; მნიშვნელოვანი საკვლევი საკითხია გამოიკვეთოს ის მიზეზები, რამაც ვნების პარასკევის მსახურების (ხსენებული დღეების ლიტურგიკულ წესებს შორის) უპირატესობა განსაზღვრა და ფაქტორები, რითაც ვნების პარასკევი ძირითად მსახურებად წარმოჩნდა; სტატიაში განხილულია ადგილობრივი ქართული სამგალობლო ტრადიციის თავისებურებები, რაც ქართული ლიტურგიკულ-მუსიკალური პრაქტიკის ზოგადქრისტიანულ კონტექსტში დანახვის შესაძლებლობას ქმნის.

უფალი იესო ქრისტეს შობა, ნათლისღება და ჯვარცმა სამი უდიდესი მოვლენაა კაცობრიობის ისტორიაში, რაც ღვთის დაშვებით, ადამიანთა ცოდვის ტყვეობიდან გამოხსნის აუცილებლობით იყო განპირობებული. ქრისტეს ხორციელად შობა, ნათლისღება და ჯვარზე სიკვდილი ღმერთკაცის ორი ბუნების, კაცობრივისა და ღვთაებრივის ჭეშმარიტი დამოწმებაა: შობის დროს უფალი იესო ქრისტე ფიზიკურად მოევლინა სამყაროს, ნათლისღებისას ღმერთის ძეობა, ანუ ღვთაებრივი ბუნება გაცხადდა, ვნების პარასკევს — ჯვარცმული ქრისტე ხორციელად ევნო, რათა ადამიანებისთვის უკვდავება მიენიჭებინა. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ამ სამი დღის მსახურებებს შორის მჭიდრო საღვთისმეტყველო და ლიტურგიკულ-ჰინოგრაფიული კავშირი არსებობს.

მეთოდი: სტატიაში წარმოდგენილი კვლევა კომპლექსური ხასიათისაა და მოიცავს ისტორიულ, წყაროთმცოდნეობით, საღვთისმეტყველო, ლიტურგიკულ, სახისმეტყველებით და მუსიკალურ-თეორიულ ასპექტებს. წარმოდგენილია უფლის ამქვეყნიური ცხოვრების სამი მნიშვნელოვანი ეპიზოდის შობის, ნათლისღებისა და ვნების პარასკევის მსახურებების (ცისკარი, დიდი ჟამები და მცირე სერობაში ჩასართავი წინადღესასწაულების სამსაგალობლები) შედარებითი ანალიზი. კომპარატიული მეთოდით შესწავლილია ქართულ მუსიკალურ-ლიტურგიკულ ხელნაწერებში დაცული ხსენებული განგებების საგალობლები. კვლევა დაეფუძნა როგორც ძველ ლიტურგიკულ

---

[1] ვნების პარასკევის დიდი ჟამების ერთ-ერთი დასდებელის „დღეს დამოეკიდების ძელსა“ კვლევა წარმოდგენილია სამეცნიერო სტატიაში: Tuker, G. (2024:57-82). *The Holy Friday Idiomelon.*

ვნების პარასკევის ცისკრის საგალობლები ქართულ ტრადიციაში განხილულია სტატიაში: სამხარაძე, მონ. ნ. (2023). *The Passion of Jesus Told through Music.*

ვნების პარასკევის საგალობლებს ბიზანტიურ ტრადიციაში ეძღვნება ფუნდამენტური სამეცნიერო ნაშრომი: Janeras, S. (1988). *La Vendredi-Saint dans Ia ttradition liturgique byzantine.*

[2] წმიდა იოანე დამასკელისა და წმიდა კოზმა იერუსალიმელის ქრისტეშობის საცისკრო კანონს და მის სამგალობლო ტრადიციას ქართულ ლიტურგიკულ პრაქტიკაში ეძღვნება სტატია: Kazarashvili, E. (2022). *Canon of the Christmas Matins in Georgian Chanting Tradition (in the context of common orthodox Liturgical practice)*;

შობის დღესასწაულის წარმოშობასა და შობის თარიღის განსაზღვრის შესახებ კვლევა წარმოდგენილია სტატიაში: Kurt ,M. S. (2015). *The Origins of Chrismas and the Date of Christ's Birth.*

[3] ნათლისღების 2 საგალობლის უძველესი ტრადიცია განხილულია ნაშრომში: Dipippo, G. (2023). *Two Medieval Hymns for Epiphany*.

ხელნაწერებს (VII[4], IX-XI[5] და XVIII-XX[6] საუკუნეების), ისე თანამედროვე საღვთისმსახურო პრაქტიკაში ჩართულ ამ განგებათა შემცველ სანოტო კრებულებს, ხელნაწერ[7] თუ ბეჭდურ ვერსიებს[8].

შედეგი: სტატიაში გამოკვლეულია სამი მსახურების ფორმები, სტრუქტურული თავისებურებები, ჰიმნოგრაფიული ტექსტები და მუსიკალურ-ლიტურგიკული კანონზომიერებები; აღნიშნული ასპექტების გათვალისწინებით, კომპარატიული კვლევის განხორციელებით გამოვლენილია მათი ურთიერთმიმართება და კავშირები.

ლიტურგიკული წლის სამი მნიშვნელოვანი დღის კავშირზე ყურადღება გავამახვილეთ ჯერ კიდევ 2015 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში[9], სადაც ჰიმნოგრაფიული და მუსიკალური შედარებითი ანალიზის შედეგად სამი განსხვავებული დღის დიდი ჟამების განგებებს შორის არსებული მკაფიო სიახლოვე დავადასტურეთ, პოეტური და მუსიკალური ფორმების მსგავსების გამოვლენის გზით. მიღწეულმა შედეგებმა კვლევის არეალის გავაფართოების პერსპექტივა შექმნა, და გააჩინა იმპულსი სხვა განგებებს შორის მოსალოდნელი ჰიმნოგრაფიულ-მუსიკალური კავშირების გამოსავლენად.

ამ მიზნით, შევისწავლეთ ცისკარსა და სერობაში ჩასართავი სამსაგალობლების ჰიმნები, რომელთა ანალიზმაც არა მხოლოდ ვნების პარასკევის, შობა-ნათლისღების მსახურებათა კავშირები და სიახლოვე დაგვანახა, არამედ კვლევის შედეგები მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ქართული ეკლესიის განსაკუთრებული დღის, საუფლო კვართის დღესასწაულის (ახ. სტ. 14 ოქტომბერი) საცისკრო კანონის (ავტორი ანტონ კათალიკოსი) შესწავლისთვისაც.

სამ განგებას შორის პირველადი მსახურების გამოსავლენად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა უძველესი სამუსიკო დამწერლობის სისტემის ე. წ. „ჭრელთა ნუსხებში“[10]

---

[4] Кекелидзе, К, А. (1912:74-87). *Иерусалимский канонарь*;
Tarchnischvili, M. (1959:93-96). *Le grand Lectionnaire de l'eglize de Jerusalem* (V-VIII siecle).

[5] *უძველესი იადგარი.* (1980); სინას მთის, წმიდა ეკატერინეს მონასტრის ბიბლიოთეკაში დაცული X საუკუნის ქართული კოლექციის იადგარები: Sin. 1, (X ს.) და Sin. 14; ამავე მონასტერში დაცული მარხვანი — Sin. 5 (1052 წ.); წმინდა ათონის მთის ქართულ ხელნაწერთა კოლექციის მარხვანი (XI ს.) — Ath. 38. (აღწერილობა იხ. Gippert., J., Outtier., B., Kim., S. 2022: 366-372); პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული ქართული ხელნაწერი მარხვანი (XI ს.) — Par. Geo. 5. (აღწერილობა იხ. Chkhikvadze, N., Karanadze, M., Kekelia V., Shatirishvili, L. (Red.) Georgian Manuscript Book Abroad. (2018:2016).

[6] თბილისის კორნელი კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ხელნაწერები: H 263 — „ძლისპირნი და ღვთისმშობლისანი“ (XVIII ს.), Q 298 — ძლისპირთა კრებული (XIX); სადღესასწაულო თვენი (1865); ტრიოდიონი, რომელ არს სამ-საგალობელი წმიდათა და დიდთა მარხვანთა (1901).

[7] თბილისის კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული სანოტო ხელნაწერები — Q 686, H 154[3], H 154[8], Q 666, Q 674, Q 681, Q 689, Q 690, Q 691, Q 692, Q 693, Q 694;
ანზორ ერქომაიშვილის სახელობის საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში დაცული სანოტო ხელნაწერები — №2128, №2100, №2121, №2122, №2124, №2126, №2127, №264, №1461.
ხელნაწერთა ელ. ბაზა იხილეთ ბმულზე: http://folk.gov.ge/baza/

[8] ქართული გალობა. ანთოლოგია. ტომი XXIV, XXV. http://folk.gov.ge/galoba/

[9] ჩხეიძე, თ. (2015: 421-446). *`შუაღამისანი~-ს შესრულების თავისებურებები ქართულ საღვთისმსახურო ტრადიციაში.*

[10] „ჭრელთა ნუსხები“ წარმოადგენს ქართული საეკლესიო გალობის თვითმყოფად მუსიკალური დამწერლობის სისტემას, სადაც ჰანგი განმარტებულია ვერბალური სტრუქტურით. ეს სისტემა, რომელიც ქართულმა სამგალობლო პრაქტიკამ ნევმური დამწერლობის პარალელურად შეიმუშავა, საშუალებას აძლევდა მგალობლებს ზეპირად გადაეცათ და შეენარჩუნებინათ რეპერტუარი. „ჭრელთა ნუსხები“ გვხვდება XIII და XVIII-XIX საუკუნეების ქართულ ხელნაწერებში და ასახავს ქართული საეკლესიო გალობის მწემონურ აზროვნებას, რომელიც დამახასიათებელი იყო ყველა

არსებული მასალის შესწავლა. სწორედ, „ჭრელთა ნუსხების“ ტექსტოლოგიურ-მუსიკალური ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა ის მთავარი და ძირითადი მსახურება - ვნების პარასკევი, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სხვა მსახურების ჰიმნთა ჩამოყალიბების პროცესში.

მსჯელობა: სამი განგების საერთო საღვთისმეტყველო საფუძველი ქრისტიანული რწმენის ფუნდამენტური თემების ირგვლივ არის გაერთიანებული.

თეოლოგიური ერთობის წინაპირობა დამოწმებულია სახარებისეული ტექსტით: „ერთმან ერისაგანმან ლახურითა უგმირა გუერდსა მისსა და მეყვსეულად გარდამოხდა სისხლი და წყალი“ (იოანე 19, 34). წმინდა წერილის სხვა მუხლებში ვკითხულობთ: „სამნი მოწმობენ ზეცად: მამა, სიტყვა და სული წმინდა, ხოლო ეს სამი ერთია. და სამნი მოწმობენ ქვეყანად. სული, წყალი და სისხლი, ხოლო ეს სამი ერთია“ (ეპისტოლე იოანესი 1. 5:7-8).

სამი განგების მათი ქრისტოლოგიური კავშირი მდგომარეობს შემდეგში:

1) იესო ქრისტე ცენტრალური ფიგურაა და ყოველი განგება ხაზს უსვამს მის ღვთაებრივ და ადამიანურ ბუნებას, რემელიც **ადამიანთა გამოხსნის მისიის** განუყოფელი ნაწილია. ამ მისიაში დასაბამი შობაა, გაგრძელება — ნათლისღება, ხოლო დასასრული — ვნების პარასკევი, რომლის დროსაც გამოხსნის მისია დასრულდა.

2) სამივე განგებაში აღსრულდა **საღმრთო გამოვლინება:** შობისას ღმერთი განხორციელდა და ეწოდა „ემმანუელი“ (რომელიც ითარგმნება „ჩვენთან არს ღმერთი“), ნათლისღებისას — გაცხადდა სამება, კერძოდ, ძე ნათელს იღებს, მამა სიტყვიერად აღიარებს მას, ხოლო სული წმინდა იორდანეზე მტრედის სახით გადმოდის. ჯვარცმისას უფალი იესო ქრისტე მიმართავს მამას უკანასკნელი სიტყვებით — ილი, ილი! ლიმა საბაქთანი? ღმერთო, ღმერთო ჩემო რაჲსათვის დამიტევე მე? რაშიც ჩანს ორი ჰიპოსტასის, ძისა და მამის მიმართება (მთ. 27,46).

3) სამივე განგებაში ფიგურირებს **წყლის სიმბოლო,** რომელიც განწმენდასთან და სიცოცხლესთან ასოცირდება. შობისას — უფალი წყლით განბანეს, ამიტომაც ხშირად, შობის ხატებზე ახალშობილი ქრისტეს წყლით განბანვის სცენაც გამოისახება (ილუსტრაცია 1). ნათლისღებისას — ქრისტე იდგა მდინარე იორდანეში და წყლის ბუნება განწმინდა, ამიტომაც, ადამიანთა ნათლისღებისას წყალში შთაფვლა ცოდვებისაგან განწმენდას მოასწავებს. ჯვარცმისას — უფალს გვერდიდან სისხლთან ერთად წყალი გადმოსდინდა (იოანე 19, 34), რაც გახდა ეკლესიის გამოხსნის, სიცოცხლის წყაროს სიმბოლო.

3) მსახურებები ასახავს ქრისტეს **მორჩილებასა და თავმდაბლობას**. ქრისტეს შობა მოხდა ბაგაში, ყველაზე დამამცირებელ ადგილას, ნათლისღებისას უფალმა თავი მოუდრიკა წმიდა იოანე ნათლისმცემელს, ხოლო ჯვარზე სიკვდილით უფალმა აღასრულა მამის ნება და გაიღო ყველაზე დიდი მსხვერპლი კაცობრიობის გამოსახსნელად.

ამდენად, სამი მსახურების საერთო საღვთისმეტყველო საფუძველი ადამიანთა ხსნის გეგმაშია, რომელიც მომდინარეობს იესო ქრისტეს განკაცების, მსახურებისა და მსხვერპლშეწირვის გზით. ეს დღეები თანმიმდევრულად გამოხატავენ იმ სიყვარულსა და თავგანწირვას, რომლითაც ღმერთი მოქმედებს კაცობრიობის გადასარჩენად.

ადგილობრივი ეკლესიის სამგალობლო ტრადიციისათვის. უფრო ვრცლად ჭრელთა სისტემის შესახებ იხ. სტატია: Andriadze, M., Chkheidze, T. (2002:450-457). *System of Chreli in Georgian Sacred Music;* ჭრელთა ნუსხებისა და ქართული ნევმური დამწერლობის სისტემის ურთიერთმიმართება განხილულია სტატიაში: Chkheidze, T. (2004:399-403). *On the Interrelation of a List Chreli (Type of Hymns) and System of Neumes;* ჭრელთა ნუსხებში ფიქსირებული საგალობლების ფუნდამენტურ კვლევას ეძღვნება სამეცნიერო ნაშრომი: ჩხეიძე, თ. (2022). *ქართული გალობის ჭრელები.* მასში პირველად გამოქვეყნდა „ჭრელების“ შემცველ ქართულ ხელნაწერებში დაცული ტექსტები, თანდართული მაღალი ხარისხის ვიზუალური და აუდიოილუსტრაციებით.

უფლის ჯვარცმისა და ნათლისღების საერთო საღვთიმეტყველო საფუძველს საინტერესო ინტერპრეტაციით გვაწვდის საეკლესიო მუსიკის რეფორმატორი და უდიდესი ჰიმნოგრაფი, წმიდა იოანე დამასკელი, რომელიც ქრისტეს ჯვარცმას სისხლით ნათლისღებას უწოდებს:

„**პირველი** ნათლისღება წარღვნისა იყო, ცოდვის მოსაკვეთად. **მეორე** იყო ზღვისა და ღრუბლის მიერ, რადგან ღრუბელი სიმბოლოა სულისა, ზღვა კი - წყლისა. **მესამე** სჯულისმიერი იყო, რადგან ყველა უწმინდური წყლით განიბანებოდა, სამოსსაც ირეცხავდა და ისე შედიოდა ბანაკში. **მეოთხე** იოანესი იყო, როგორც მოსამზადებელი და როგორც ნათელღებულთა წამყვანი სინანულისაკენ, რომ ერწმუნათ მათ ქრისტე... **მეხუთეა** უფლისმიერი ნათლისღება, რითაც მან ნათელიღო...**მეექვსე** ესაა — სინანულისა და ცრემლისმიერი, რაც ჭეშმარიტად მძიმეა. **მეშვიდეა** სისხლისმიერი და მოწამეობრივი, რითაც ჩვენს გამო ნათელიღო თვით ქრისტემაც და რაც ფრიად ღირსეულია და სანეტარო, რადგან არ შეირყვნება შემდგომ ბიწთა მიერ. **მერვე,** უკანასკნელი, არის არა მაცხოვნებელი, არამედ ბოროტოების აღმომფხვრელი (რადგან ბოროტება და ცოდვა ასპარეზზე აღარ იქნება), მაგრამ მტანჯველი დაუსრულებლად[11]“.

სამი მსახურების საერთო საღვთისმეტყველო საფუძველზე საუბრობს რუმინეთში მოღვაწე ქართველი წმინდანი, ანთიმოზ ივერიელიც თავის თხზულებაში „ღვთის განცხადების შესახებ“ სადაც წმიდა მამა ქრისტეს ჯვარცმას მეორედ შობის და სისხლით ნათლისღების კონტექსტში განიხილავს. მისი განმარტებით, უფლის ჯვარცმა არის მეორედ შობა და ნათლისღება, არა წყლით, არამედ სისხლით[12].

მსახურებათა რიტუალები, სტრუქტურა და მუსიკალური ფორმები

შობის, ნათლისღებისა და ვნების პარასკევის განგებები **მსგავსი სრუქტურით ხასიათდებიან.** ფორმულარების თანმიმდევრობა ასეთია: აღესრულება ცისკარი, დიდი ჟამების მსახურება და მწუხრი, ბასილი დიდი წირვასთან შეერთებული. ერთადერთი განსხვავება მდგომარებს მხოლოდ იმაში, რომ ვნების პარასკევს წირვა არ ტარდება[13], ამიტომ მის ნაცვლად მწუხრს მოსდევს სერობა, რომელშიც ჩაერთვის „ღვთისმშობლის დატირების“ კანონი.

ლიტურგიკის განვითარების ადრეულ ეტაპზე სამი განგების გარეგნული მსგავსების დამადასტურებელია **ლიტანიობითი მსვლელობა,** რომლის მთავარი შემადგენელი ნაწილია „გაჩერება“ და ადგილის შესაბამისი სახარების მონაკვეთებისა და საგალობლების გალობა[14]. ამას ადასტურებს სილვია აკვიტინელი თავის თხზულებაში[15] და აღნიშნავს, რომ ვნების პარასკევის მსახურებასა და შობა-ნათლისღების დღესასწაულებს, რომელიც იმ

[11] წმიდა იოანე დამასკელი, ცოდნის წყარო, (2000:168-169).

[12] წმიდა ანთიმოზ ივერიელი, დიდაქე „ღვთის განცხადების შესახებ“, (2016:92).

[13] ვნების პარასკევს საღმრთო ლიტურგიის არ აღსრულება ეფუძნება მართლმადიდებლური ეკლესიის კანონიკურ ლიტურგიკულ პრაქტიკას, რომელიც პალესტინური ტრადიციიდან შემოვიდა და დამკვიდრდა ქართულ ეკლესიაში. ამ დღეს წირვა იმ მიზეზით არ აღევლინება, რომ ქრისტეს ჯვარცმის დროს სისხლის დათხევით საღმრთო მსხვერპლი უკვე შეიწირა ადამიანთა ცოდვებისაგან გამოსახსნელად: „შვენის უწყებად, რამეთუ მოგვიღებიეს პალესტინით, რომელ წმიდასა ამა დღესა, დიდსა პარასკევსა არა ვყოფთ პირველშეწირულსა, და არცა აღვასრულებთ ლიტურგიასა. არამედ არცა დავაგებთ ტრაპეზსა და არცა რამესა ვიხმევთ დღესა ჯვარცმისასა“ (ტრიოდიონი, 1901:546).

[14] ამ თემასთან დაკავშირებით ვრცლად იხ. სტატია: სამხარაძე, მონ. ნ. (2018: 63-71). *„შეხვეტილიანის“ ციკლის ისტორიული ჩამოყალიბებისა და მუსიკალური თავისებურებების კვლევის საკითხისთვის.*

[15] McGowan, A., Bradshaw, P. F. (translators). (2018:75). *The Pilgrimage of Egeria;* Кекелидзе, К, А. *Иерусалимский канонарь* (1912:164-165).

დროისათვის კომბინირებულად აღინიშნებოდა, საერთო ფორმულარები და რიტუალები გააჩნდა, რაც გულისხმობდა ძველი იერუსალიმის წმიდა ადგილების „ლიტიებს“.

განგებებს შორის მსგავსება მჟღავნდება **დიდი ჟამების** შესრულებაშიც. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ სამეუფეო ჟამების მსახურება, წელიწადში მხოლოდ სამჯერ, სწორედ შობას, ნათლისღებასა და ვნების პარასკევს აღევლინება. „უძველს იადგარში“ შობისა და ნათლისღების დიდი ჟამების მსახურებას „შუაღამისანი“[16] ეწოდება, ვნების პარასკევს კი „შუადღისა“[17], მსახურების შესრულების დროიდან გამომდინარე[18].

ფორმულარების მსგავსება მხოლოდ აღნიშნული ფაქტით არ ამოიწურება, არამედ კავშირი ვლინდება **დასდებლების ერთნაირ რაოდენობაში - თორმეტი დასდებელი**. უძველეს ქართულ ლიტურგიკულ წყაროში, „იერუსალიმურ ლექციონარში“ ვნების პარასკევის, შობისა და ნათლისღების დიდი ჟამების დასდებლების აღსანიშნავად გამოიყენება ტერმინი „ათორმეტნი“[19]. მსგავსივე სახელწოდებით („ათორმეტნი შობისანი“, „ათორმეტნი ნათლისღებისანი“, „ათორმეტნი ვნების პარასკევისანი“) არიან ისინი წარმოდგენილნი „ჭრელთა ნუსხებშიც“[20], მხოლოდ არა სხვა დასდებლებთან ერთობლიობაში, არამედ დამოუკიდებელ ციკლებად[21]. ეს ფაქტი საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ დიდი ჟამების დასდებლების განვითარების ისტორიას დასაბამიდან XX საუკუნემდე, დავაკვირდეთ საგალობელთა ინტონაციური აგებულების პრინციპებს ჰანგის ვერბალური განმარტების პირობებშიც კი[22]. ამდენად, „ჭრელთა ნუსხები“ მეტად ძვირფას წყაროს წარმოადგენენ დიდი ჟამების დასდებლების საერთო პოეტური ფორმებისა და ჰანგების შესწავლის თვალსაზრისით.

ჩვენს წინამორბედ კვლევებში „ჭრელთა ნუსხებში“ დიდი ჟამების დასდებლების პოეტური ტექსტებისა და მუსიკალური ჰანგის განმარტებების შესწავლამ გვიჩვენა, რომ **ჰანგები ერთმანეთთან დიდ მსგავსებას** ამჟღავნებენ, რაც მათში საერთო მუსიკალური მუხლების გამოყენებით დასტურდება[23]. საერთო მუსიკალური ჰანგი კი, საგალობელთა

---

[16] ეს ტერმინი არ არის დაკავშირებული სადღეღამისო ციკლის ერთ-ერთ მსახურებასთან „შუაღამიანი“, რომელიც წინ უძღვის ცისკარს.

[17] *უძველესი იადგარი.* (1980:191).

[18] ამ თემასთან დაკავშირებით ვრცლად იხ. სტატიაში: ჩხეიძე, თ. (2015:421-446). *`შუაღამისანი~-ს შესრულების თავისებურებები ქართულ საღვთისმსახურო ტრადიციაში~.*

[19] მაგალითად, ლექციონარის ტექსტში ვნების პარასკევის მსახურებსთან დაკავშირებით ვკითხულობთ: „დიდსა პარასკევსა [7 ვნებისასა] 6 ჟამითგან შეიკრიბენ წინაშე გოლგოთას: ყონ კვერექსი და ლოცვა და იტყოდიან **ათორმეტთა** [ა დასდებელი ხმა ბ გვერდი] დღეს დამოეკიდების ძელსა“ Кекелидзе, К. А. (1912:79). აქვე განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ლექციონარის VII-VIII საუკუნეების ნუსხებში წარმოდგენილმა დიდი ჟამების ჰიმნოგრაფიულმა ტექსტებმა (სავარაუდოდ, მუსიკასთან ერთად) დღემდე უცვლელად მოაღწია თანამედროვე ლიტურგიკულ პრაქტიკამდე.

[20] დღეს ჩვენთვის ცნობილია „ჭრელთა ნუსხების“ შემცველი 7 ხელნაწერი. 5 მათგანი დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში: A-85 (XIII ს.), Q-103 (XVIII ს.), Q-104 (XVIII ს.), Q-298 (XIX ს.), H-2282 (XIX ს.) და ორი ქუთაისის ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში: №368 (XVIII ს.), №467 (XVIII ს.).

[21] სანოტო ჩანაწერებში მხოლოდ ვნების პარასკევის დიდი ჟამების დასდებლებია ცალკე გამოყოფილი.

[22] როგორც უკვე აღვნიშნეთ „ჭრელთა ნუსხებში“ საგალობელთა ტექსტები ვერბალური ნოტაციით არის განმარტებული. ლიტურგიკულ ხელნაწერებში ეს ვერბალური სტრუქტურები მოთავსებულია პოეტური ტექსტის ზემოთ, ინციპიტების მსგავსად, როგორც სამუსიკო ნიშნები ქართულ ნევმირებულ ხელნაწერებში.

[23] მუსიკალური მუხლების იგივეობის დადგენა განმარტებების ერთმანეთთან შედარების გზით გახდა შესაძლებელი.

პოეტური ტექსტების სტერეოტიპული მსგავსებითაა გამოწვეული, რასაც ხშირად ტაეპების მარცვლების თანხვედრაც ახლავს ხოლმე[24]. აღნიშნული გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ პოეტური ფორმებისა და ჰანგების სიახლოვე ამ მსახურებების საერთო სტრუქტურითა და ლიტურგიკული შინაარსითაა განპირობებული. შობისა და ნათლისღების დღესასწაულები მაცხოვრის ამქვეყნად მოვლინებას უკავშირდება — ხორციელად შობასა და ნათლისღებას, ხოლო ვნების პარასკევი — მის ჯვარცმას. შობა-ნათლისღება დასაბამია, დიდი პარასკევი კი — ამქვეყნიური ცხოვრების აღსასრული. ამით უნდა იყოს განპირობებული ლიტურგიკული წლის ამ სამ მნიშვნელოვან დღეს ერთნაირი მსახურების დაწესება, საერთო ფორმულებითა და საერთო ჰანგის მქონე, რვა ხმის სისტემით მოწესრიგებული დასდებლების გალობით[25].

ვნების პარასკევი - შობისა და ნათლისღების რიტუალის სათავე

„ჭრელთა ნუსხები“ - ქართული გალობის უნიკალური სამუსიკო დამწერლობის ტრადიციის ამსახველი ერთ-ერთ მნიშვნელოვანი წყარო წარმოაჩენს, რომ შობისა და ნათლისღების რიტუალის სათავე ვნების პარასკევის მსახურებაა. ამ დასკვნამდე დიდი ჟამების დასდებლების ჰანგის ვერბალურ განმარტებებზე დაკვირვებამ მიგვიყვანა. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ-ჯერობით დაუდგენელია ჰანგების მუსიკალური შინაარსი, საგალობელთა მელოდიური ფორმულების ურთიერთმიმართებაში გარკვეული კანონზომიერებების გამოვლენა მაინც შესაძლებელი გახდა.

შევნიშნავთ, რომ არსებობს ჰანგის განმარტების ორი შემთხვევა: ა) სხვადასხვა დასდებლების პოეტური ტაეპების ფრაგმენტები სტერეოტიპული ფორმულების გამოყენებით, ერთმანეთს განმარტავს. ვნების პარასკევის I დასდებლის I მუხლი - „დღეს ტაძრისა იგი“ განმარტებულია ფორმულით - „დღეს წყალსა იგი“ (ნათლისღების დასდებლის I მუხლი); და პირიქით: განცხადების დასდებლის მუხლს „დღეს წყალსა იგი“ განმარტავს ვნების პარასკევის ფორმულა „დღეს ტაძრისა იგი“.

ბ) მეორე შემთხვევის დროს ტაეპის ჰანგის განმარტებად იგივე სიტყვიერი ტექსტი გამოიყენება, რაც ამ ტაეპის მუსიკალური მუხლის, როგორც რიტმულ-მელოდიური ფორმულის (იგივე, მოდუსის) მნიშვნელობაზე მეტყველებს. ასეთ მნიშვნელობას იძენენ მუხლები: „ქრისტე მეუფეო“, „უსჯულოთაგან“, „ცოდვათა ჩვენთათვის კაცთმოყვარე“, „და ვითარცა კრავი უმანკო“, „კრეტსაბმელი“, „უსჯულოთა მათ“, „თაყვანის ვსცემთ“[26]. კვლევამ აჩვენა, რომ ყველა ეს მოდუსი, სათავეს იღებს არა შობისა და ნათლისღების, არამედ სწორედ, ვნების პარასკევის ათორმეტ დასდებელთა მუხლებიდან. საგულისხმოა, რომ მათი უმრავლესობა პირველი და მეორე დასდებელთა შემადგენელ ფორმულებს წარმოადგენენ: პირველი დასდებელი „დღეს ტაძრისა იგი **კრეტსაბმელი** სამხილებელად განიპო, **უსჯულოთა მათ,** და მზემან ბრწყინვალება თვისი დაიფარა, რამეთუ უფალსა გხედვიდეს ჯვარცმულსა“. მეორე დასდებელი - „ვითარცა ცხოვარი კლვად მიიგვარე, **ქრისტე მეუფეო, და ვითარცა კრავი** უმანკო, დაემსჭვალე ჯვარსა, **უსჯულოთაგან, ცოდვათა ჩუენთათვის კაცთმოყვარე;** ხოლო ნუსხაში მრავალჯერ გამოყენებული ჭრელი

[24] „უპირატეს, პატიოსნისა ჯვარისა შენისა“ - ვნების პარასკევი; „უპირატეს პატიოსნისა შობისა შენისა“ - შობის დღესასწაული; „უპირატეს პატიოსნისა ნათლისღებისა შენისა“ - ნათლისღება.

[25] დიდი ჟამების დასდებელთა პოეტური ფორმებისა და, რაც მთავარია, ჰანგის შემადგენელი მუხლების მსგავსების შესახებ დეტალურად იხ. ნაშრომში: ჩხეიძე, თ., (2015:437-442). *„შუაღამისანი“-ს შესრულების თავისებურებები ქართულ საღვთისმსახურო ტრადიციაში.*

[26] ამას გარდა გვხვდება შემდეგი ჭრელი მუხლები: „მოხვედ და განცხადენ“, „ღმერთი უფალი“, „დიდება მაღალთ შინა“. ხელნაწერის ქუთ. 467-ის მიხედვით ჭრელი მოდუსების გამოყენების შემთხვევები (იხ. მაგ. 1).

მოდუსი **„თაყვანის ვსცემთ“,** ემყარება სტერეოტიპულ ვერბალურ ტექსტს, რომელიც სამივე დღის მსახურებაში გვხვდება.[27]

ამრიგად, ჩატარებულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ შობისა და ნათლისღების „ჭრელი“ მუხლები კი არ წარმოადგენენ სტერეოტიპულ მოდუსებს ვნების პარასკევისთვის, არამედ პირიქით - ვნების პარასკევის „ჭრელებმა“ შეიძინეს რიტმულ-მელოდიური ფორმულის მნიშვნელობა და შობის, ნათლისღებისა თუ სხვა დღესასწაულის ჰიმნების მოდელებად იქცნენ. ამდენად, ვნების პარასკევი არის ის ამოსავალი და ძირითადი განგება, რომელიც საფუძვლად დაედო შობისა და ნათლისღების დიდი ჟამების დასდებლებს.

ვნების კვირა — შობა-ნათლისღების წინასადღესასწაულო მსახურების სათავე

სტატიის შესავალში აღვნიშნეთ, რომ სამი ლიტურგიკული დღის განგების საერთო მახასიათებლების დასადგენად დიდი ჟამების გარდა, შევისწავლეთ წინადღესასწაულის სამსაგალობელთა[28] სისტემა.

შობისა და ნათლისღების დიდ დღესასწაულებს წინ უძღვის განსაკუთრებული მოსამზადებელი პერიოდი, რომელიც შესაბამისი აკოლუთიებით აღინიშნება. შობის წინასადღესასწაულო მსახურება გრძელდება ხუთ დღეს (იწყება 20 დეკემბერს (ძვ. სტილით) და მთავრდება 24 დეკემბერს). ამ დღეებში (20, 21, 23 დეკემბერი) საღამოს მსახურებაზე (სერობაზე) ტიპიკონი მიუთითებს სამსაგალობლებსა და სრულ კანონებს (22 და 24 დეკემბერი), რომლებიც ვნების კვირის ცისკრის კანონთა სტრუქტურას იმავე თანმიმდევრობით იმეორებენ[29]. აღმოჩნდა, რომ კავშირები ვნების კვირისა და შობის წინამოსამზადებელ ციკლებს შორის სხვადასხვა იერარქიულ დონეებზე და პარამეტრებში ვლინდება.

ნათლისღების წინადღესასწაული შედგება ოთხი დღისგან (იწყება 2 იანვარს და გრძელდება 5 იანვრამდე). აღსანიშნავია, რომ იგი ერთი დღით გვიან იწყება, ვიდრე შობის წინა დღესასწაული. 1 (ძვ. სტ.) იანვარს აღინიშნება უფლის წინადაცვეთა, რომელიც საუფლო დღესასწაულია და ამ დღეს ნათლისღების წინა დღესასწაულის ციკლი, ცხადია ვერ დაიწყება. ნათლისღების სერობის კანონებიც თავის მხრივ, მსგავსებას ამჟღავნებენ ვნების კვირისა და შობის წინამოსამზადებელ ციკლებთან. აქაც კავშირები იკვეთება კანონთა სტრუქტურულ, მუსიკალურ-შინაარსობრივ დონეებზე.

სამი განგების ურთიერთმიმართების შესწავლის გზაზე სამსაგალობლებში ვერბალური და მუსიკალური ფორმების თანხვედრა გამოვლინდა მთელი ციკლის დონეზე

---

[27] ვნების პარასკევს: „თაყვანის ვსცემთ **ვნებათა შენთა** ქრისტე“, შობას: „თაყვანის ვსცემთ **შობასა შენსა** ქრისტე“, ნათლისღებას: „თაყვანის ვსცემთ **ნათლისღებასა შენსა** ქრისტე“.

[28] სამსაგალობელი/სამფსალმუნი (ბერძნულად ტრიოდიონი) ეწოდება ისეთ ჰიმნოგრაფიულ კანონს, რომელიც შედგება არა 9 (8) ოდისგან, როგორც ეს ჩვეულებრივ ჰიმნოგრაფიულ კანონშია, არამედ 3 გალობისგან, წმიდა სამების სადიდებლად და შედის „მარხვანსა“ და „ზატიკში“. სამიდან ორი გალობა, მე-8 და მე-9 სამსაგალობლის მუდმივი წევრია, ხოლო მესამე – იმის მიხედვით, თუ კვირის რომელ დღეს არის ღვთისმსახურება: ორშაბათს სამსაგალობელი შედგება 1, 8, 9 გალობისგან, სამშაბათს – 2, 8, 9, ოთხშაბათს – 3, 8, 9, ხუთშაბათს – 4, 8, 9, პარასკევს – 5, 8, 9. შაბათ დღეს კი იგალობება ოთხსაგალობელი (ბერძ. ტეტრადიონი), რომელშიც 6, 7, 8, და 9 გალობა შედის. საგულისხმოა, რომ ქართულ ღვთიმსახურებაში იშვიათი გამონაკლისის გარდა ჰიმნოგრაფიულ კანონში არ გვხვდება მე-2 ოდა, თავისი მჭმუნვარე ხასიათის გამო, მაგრამ ეს გალობა შედის სამსაგალობელში დიდმარხვის ყოველ სამშაბათ დღეს. არსებობს აგრეთვე ორსაგალობელი (ბერძ. დიოდიონი), რომელიც შედგება ორი გალობისგან, მე-8 და მე-9 და სრულდება მხოლოდ დიდ სამშაბათს ცისკრად. იხ. გაბიძაშვილი, ე., (2011:33) *ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები.*

[29] იხ. მაგ. 2.

(ვნების კვირა, შობის წინადღესასწაულისა და ნათლისღების წინადღესასწაულის ციკლები). თანხვედრათა მკაფიოების წარმოსაჩენად სტატიაში მიმოვიხილავთ იმ სამსაგალობელთა მიმართებას, რომლებიც მე-5, მე-8 და მე-9 გალობებს შეიცავენ. ვნების კვირაში ამ გალობების შემცველი სწორედ ვნების პარასკევის სამსაგალობელია, რომელიც საფუძვლად დაედო შობისა და ნათლისღების წინა დღესასწაულის აღნიშნულ სამსაგალობლებს. მათი ავტორია VIII ს-ის ცნობილი ჰიმნოგრაფი და „კანონმთქმელი“, წმიდა კოზმა იერუსალიმელი[30].

მუსიკალური ერთიანობის მაჩვენებელია ვნების პარასკევისა და შობა-ნათლისღების წინა დღესასწაულების სამსაგალობლების საერთო ძლისპირები, რომლებიც მხოლოდ პოეტური ტექსტების მსგავსებაში კი არ ვლინდება, არამედ არამედ მუსიკალური ჰანგების მიმართებაში. ეს ძლისპირებია: „შენდა აღვიმსთობთ“ (მე-5 გალობის ძლისპირი), „სიბოროტისა ძეგლი ღვთისმბრძოლი“ (მე-8 გალობის ძლისპირი) და „უპატიოსნესსა ქერუბიმთასა“ (მე-9 გალობის ძლისპირი).

სამსაგალობელთა ჰიმნების საერთო შინაარსი დღესასწაულის მნიშვნელობიდან გამომდინარე იცვლება. მაგალითად, მე-5 გალობის II დასდებელში მოწოდებაა გონების განწმენდაზე და უფალთან მიახლებაზე, მაგრამ ეს დედააზრი ლოგიკურად გარდაიქმნება დღესასწაულის მიხედვით. კერძოდ, ვნების პარასკევში საუბარია ზეთისხილის მთაზე, საიდანაც ქრისტეს ვნებანი დაიწყო, შობის დღესასწაულში — ბეთლემზე, სადაც ქრისტე იშვა და განცხადებაში _ მდინარე იორდანეზე, სადაც ადამიანთა ცოდვათა მიტევება და განწმენდა მოხდა (მაგ. 3). იდენტური ფრაზეოლოგიური მოდელების გამოყენების მაგალითად წარმოვადგენთ V გალობის I დასდებელის საწყის და დამაბოლოებელ ვერბალურ სტრუქტურებს. კერძოდ, „შენდა აღვიმსთობთ მოწყალებისათვის“ და „სიტყვაო ღმრთისაო მომეც მე მშვიდობა კაცთმოყვარე“ (მაგ. 4). მჭიდრო შინაარსობრივი კავშირი ვლინდება მაგ., მე-8 გალობის I დასდებელში: „წამთაგან ძილი, აწ განიშორეთ თქვენ“ (ვნების პარასკევი), „წამთაგან ძილი მცონარებისა, აწ განვიყარნეთ ჩვენ“ (შობის წინა დღესასწ.) და „წამთაგან სულისათა, ბოროტისა ძილისა განმგებელთა“ (ნათლისღების წინა დღესასწ.). ასევე სტერეოტიპულ ფრაზეოლოგიაზე მიანიშნებს მე-8 გალობის რეფრენი: „ყოველი აღგებული ძნობს დიდების მეტყველი“, რომელიც უცვლელად გვხდება როგორც ვნების პარასკევის ცისკრის, ისე შობისა და ნათლისღების წინა დღესასწაულთა სამსაგალობლებში.

ყურადღებას იქცევს განხილულ სამსაგალობელთა დედნებში საერთო კიდურწერილობაც, რომელიც ამ დღეების ჰიმნთა ერთიანობასა და ვნების პარასკევის განგების უპირატესობაზე მეტყველებს. ბიზანტიურ ტრადიციაში სამსაგალობლები გაწყობილია აკროსტიქის მიხედვით „Προσάββατον τε“ (პრო სავვატონ ტე), რაც ქართულად ნიშნავს „შაბათამდე“[31]. ე. ი. კონკრეტული მითითებაა შაბათის წინა, პარასკევ დღეზე - მსახურების შესრულების დროზე. ამ შინაარსის აკროსტიქის გამოყენება ვნების პარასკევის სამსაგალობლისთვის ლოგიკურია. მიუხედავად იმისა, რომ შობისა და ნათლისღების დღესასწაულები მოძრავ კალენდარულ ციკლში შედიან (შესაბამისად, ხსენებული სამსაგალობლები ყოველ წელს კვირის სხვადასხვა დღეს უწევს), დედანში იგივე კიდურწერილობით უნდა იყოს გამართული, რასაც ადასტურებს სამსაგალობელთა

[30] მის კალამს ეკუთვნის 172 ძლისპირი და და ხუთი საუფლო დღესასწაულის (შობის, განცხადების, მიგებების, ფერისცვალებისა და ღვთისმშობლის მიძინების) ჰიმნოგრაფიული კანონი. გამორჩეულ ადგილს წმიდა კოზმას „სამსაგალობლები“ ვნების შვიდეულის სამგალობლო რეპერტუარში იკავებს. კოზმა იერუსალიმელის ჰიმნოგრაფიის შესახებ უფრო ვრცლად იხილეთ ნაშრომი: დუღაშვილი, ე., (2014). *კოზმა იერუსალიმელის საგალობელთა უძველესი ქართული თარგმანები X ს-ის იადგარების მიხედვით (ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურის ისტორიიდან).*

[31] ΤΡΙΩΔΙΟΝ. ΚΑΤΑΝΥΚΤΙΚΟΝ. (2018: 450).

ქართული თარგმანები[32]. ქართულ მარხვანში[33] ვნების პარასკევის კანონში ბერძნული აკროსტიქი მითითებულია ქართული ტრანსკრიპციით „პრო სავვატონ ტე“, თუმცა არც ეს და არც შობა-ნათლისღების შესაბამისი სამსაგალობლები არ არის ნათარგმნი აკროსტიქის გამოყენებით — მხოლოდ შეიცავენ მითითებას აკროსტიქზე — „პირველ შაბათისაცა“. აკროსტიქის შინაარსი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ვნების პარასკევის რიტუალის უპირატესობას, როგორც ლიტურგიკულ სათავეს.

ამრიგად, შობა-ნათლისღების წინადღესასწაულების და ვნების კვირის ციკლები ერთიანი სისტემის ნაწილია. შობისა და ნათლისღების წინადღესასწაულები იმეორებენ ვნების კვირის კანონთა აგებულების ლოგიკას. კოზმა იერუსალიმელის შემოქმედებითი მიდგომა ხაზს უსვამს ამ დღეების ლიტურგიკულ კავშირს, რომელიც ეფუძნება სახარებისეულ ჭეშმარიტებას.

ვნების პარასკევის სამსაგალობლის ძლისპირების ახალი სიცოცხლე ქართულ ჰიმნოგრაფიაში

ვნების პარასკევის სამსაგალობელი შთაგონების წყაროდ იქცა ქართველი ჰიმნოგრაფებისთვისაც. კვლევამ დაადასტურა, რომ ანტონ კათალიკოსი (ანტონ I (ბაგრატიონი)[34] საუფლო კვართის კანონის შეთხზვისას არსებითად დაეყრდნო კოზმა იერუსალიმელის ვნების პარასკევის სამსაგალობელს (ხმა 6). აღსანიშნავია, რომ ცხრაოდიანი კანონის (გამოტოვებული მე-2 გალობით) მე-5, მე-8 და მე-9 გალობებში აშკარად იკვეთება კოზმას სამსაგალობელთან თემატური და მუსიკალურ-სტრუქტურული პარალელები. დანარჩენი გალობების ძლისპირებად კი ანტონ კათალიკოსი მიმართავს მე-4 (სადღესასწაულო) ხმის ძლისპირებს. ასეთი კომბინაცია - ვნების პარასკევისა (მე-6 ხმა) და დღესასწაულის (მე-4) ხმების შეზავება ერთი კანონის ფარგლებში მომდინარეობს ღრმა ლიტურგიკული შინაარსის ლოგიკიდან[35] და ანტონ კათალიკოსის ორიგინალურ შემოქმედებით მიდგომას წარმოაჩენს.

საუფლო კვართის სადღესასწაულო განგებაზე მუშაობისას ანტონ კათალიკოსმა მე-5, მე-8 და მე-9 გალობებისთვის გამოიყენა (გადმოიღო) კოზმას ძლისპირები, ხოლო მათზე შეფარდებულ დასდებლებში მკაცრად დაიცვა კოზმას „ხვედრნის” შინაარსობრივი მხარე, ტაეპების რაოდენობა; შეინარჩუნა ფორმები (მაგ. 5) და იმავდროულად, მოარგო დღესასწაულის არსს. დანარჩენ გალობათა (1-ლი, მე-3, მე-4, მე-6, მე-7) ძლისპირები კი

[32] სადღესასწაულო თუენი. (1865: 544, ფმდ, შობა), იქვე, (1865: 640, ქმ, ნათლისღება).

[33] ტრიოდიონი, (1901:529, ფკთ).

[34] ანტონ I (ბაგრატიონი) აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოსი (1744-1756 და 1763-1788 წწ.), ქართველი საეკლესიო და სახელმწიფო მოღვაწე, მწიგნობარი, თეოლოგი, საეკლესიო რეფორმატორი. მრავალი პოეტური, საღვთისმეტყველო და ფილოსოფიური ნაშრომის ავტორი. ანტონ I კატალიკოსის რეფორმა მდგომარეობდა ქართული ლიტურგიკული წიგნების ახალი რედაქციების შექმნაში. მან რუსული და ბერძნული ტიპიკონების შეჯერების საფუძველზე შეასწორა და გამოსცა თითქმის ყველა ლიტურგიკული კრებული. განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის „თვენის“ შედგენაში, რომელიც აერთიანებს მისი ავტორობით შედგენილ ქართველ წმინდანთა განგებებსაც.

[35] უფლის კვართის ისტორია პირდაპირ უკავშირდება ვნების პარასკევის სახარებისულ ეპიზოდს, იმავდროულად ქართულ ეკლესიაში კვართის თაყვანისცემის დღესასწაული ეროვნული იდენტობის და ეკლესიის განუყოფელობის სიმბოლოა. ეს თავისებული ლიტურგიკული არსი ანტონ კათალიკოსმა ძლისპირებში ორი განწყობის - მწუხარებისა და სიხარულის (მე-6 და მე-4 ხმების) შერწყმით წარმოაჩინა.

თავად შეთხზა ქართულ ტრადიციაში დამკვიდრებული მე-4 ხმის ძლისპირების მიხედვით[36].

ამრიგად, ჩატარებული კვლევით შეიძლება პასუხი გაეცეს, თუ რამ განაპირობა ანტონ კათალიკოსის შემოქმედებითი გადაწყვეტილება, არსებითად დაყრდნობოდა კოზმას ვნების პარასკევის სამსაგალობელს. პასუხი სახარებისეულ შინაარსშია, სადაც საუფლო კვართის ისტორია უშუალოდ ვნების პარასკევს, უფლის ჯვარცმის ეპიზოდს უკავშირდება: „და ჯვარს აცვეს იგი და განიყოფდეს სამოსელსა მისსა და განიგდებდეს მას ზედა წილსა, ვინძი რაჲ აღიღოს“ (მარკოზი, 15:24). აქედან გამომდინარე, ანტონ კათალიკოსმა კვართის დღესასწაულის განგებაზე მუშაობისას მიზანმიმართულად ჩართო კანონში ჯვარცმის თემა და ლოგიკურად დაეყრდნო ვნების პარასკევისადმი მიძღვნილ კოზმას ჰიმნებს.

ვნების პარასკევის ცისკრის მსახურების - „შეხვეტილიანის“ მუსიკალური საფუძველი

როგორც კვლევის წინა მონაკვეთში ვისაუბრეთ, ვნების პარასკევის მსახურების გარეგნულმა რიტუალებმა და საგალობელთა პოეტურ-მუსიკალურმა ფორმებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სხვა დღესასწაულის განგებების ჰიმნთა ჩამოყალიბებაში. იმავდროულად, ვნების პარასკევის მუსიკალური ასპექტების შესწავლამ გამოავლინა, რომ ცისკრის საგალობლებში სხვადასხვა ლიტურგიკული კრებულებში არსებული მუსიკალური ჰანგებია „შეხვეტილი“ (გამოიყენებული). ქართულ ტრადიციაში „შეხვეტილიანის“[37] სახელით ცნობილია უფალი იესო ქრისტეს ვნებათა გადმომცემი მუსიკალური ციკლი, რომელიც ვნების პარასკევის ცისკრის მსახურების პირველ ნაწილში სრულდება. იგი 70 საგალობლისაგან შედგება, დაერთვის ვნების სახარებისეული მონაკვეთის პირველ შვიდ ეპიზოდს და წარმოადგენს 15 ანტიფონის დასდებლებსა და „მომიხსენენს“. ბიზანტიურ ტრადიციაში ანტიფონები თვითავაჯი ჰანგებით სრულდება, სლავურ ლიტურგუკულ პრაქტიკაში კი ანტიფონის ხმებზეა გაწყობილი. ამ მხრივ ქართული საღვთისმსახურო პრაქტიკა თვითმყოფადია, რადგან ხსენებული ადგილობრივი ეკლესიების პრაქტიკას არ მისდევს. იმის ახსნაში, თუ რატომ არ გვხვდება „შეხვეტილიანში“ თვითავაჯი ჰანგები, წმიდა გიორგი მთაწმინდელის ვნების პარასკევის ცისკრის განგებაზე დართული ანდერძ-მინაწერი გვეხმარება:

„ესე უძლისპიროდ გვეთარგმნეს და უგემურად მოჰვიდოდა. ბერძულად თვითავაჯნია და მათ იციან და ჩვენ თუმცა ავაჯი დაგუედვა, ვინ დაისწავლიდა. აწ შეწევნითა ღმრთისაჲთა ძლისპირსა ზედა ვთარგმნეთ. რაჲცა ძლისპირი მოუვიდოდის, რომელი ძუელთაგან ვიცით, იგი ეგრეთვე ითქმოდის და სხუაჲ ძლისპირსა ზედა,

---

[36] ანტონის *პროსომია* ძლისპირები შემდეგი *იდიომელა* ძლისპირების მიხედვით შეიქმნა: „დამფარველი სიღრმესა შინა“ 1-ლი, „შენ დამრთველი წყალთა ზედა“ - მე-3, „ზღვასა ზედა რა საღმრთოსა“ - მე4; „მუცლად იღო რა იონა ვეშაპმან“- მე-6; „ჰოი, სასწაული“ მე-7 გალობებისთვის.

[37] ტერმინი „შეხვეტილიანი“ სამუსიკისმცოდნეო ლიტერატურაში განიმარტება, როგორც მაცხოვრის „ხორცთა ხუეტის“, ვნება-წამების ამსახველი განგება (ხვთისიაშვილი, მ., (1999). *ქართული პასიონის კვლევის პირველი შედეგები*). სიტყვის ეტიმოლოგია კი, უკავშირდება რაიმეს შეკრებას, ერთად თავმოყრას. იგივეს აღნიშნავს საერო ხელოვნებაში „შეხვეტილიანის“ სახელით ცნობილი კრებულები, რომლებშიც სხვადასხვა ავტორისა და შინაარსის მხატვრული ძეგლებია თავმოყრილი. იქედან გამომდინარე, რომ სამგალობლო პრაქტიკაში არსებული „შეხვეტილიანი“ სხვადასხვა ხმის ძლისპირებითა და განსხვავებული ლიტურგიკული ფუნქციის მქონე ჰიმნებით შედგენილი ციკლია, ტერმინი შეიძლება გავიაზროთ, როგორც მრავალფეროვან საგალობელთა ანთოლოგიის ტიპის ერთობლიობაც. ამდენად, ტერმინი „შეხვეტილიანი“ ორგვარი მნიშვნელობისაა და ერთი მხრივ, მაცხოვრის ვნება-წამებას აღნიშანავს, მეორე მხრივ — მის მუსიკალურ შინაარსს.

რომელიცა იყოს გერძულად დ გუერდი არს ესე. წაედ, ეძიებდით, რვათამცა ხმათა შინა არს და კმა არს ჩუენდა. თუ არა ამას ა გუერდსა ოთხასი წელი უფრო ახსოვს“ (მარხვანი Ath. 38:320r) ილუსტრაცია 2[38].

ანდერძიდან ირკვევა, რომ წმიდა გიორგი მთაწმინდელს „შეხვეტილიანის“ დასდებლებისათვის არა თვითავაჯი ჰანგები, არამედ ქართველთათვის ძველთაგან ცნობილი და პრაქტიკაში ადრევე დამკვიდრებული დედან-ჰანგები შუფარდებია. როგორც ჩანს იმიტომ, რომ მათი შესრულება არ გართულებულიყო. მან იცოდა, რომ მგალობლებს ახალი ჰანგის შეთვისება გაუჭირდებოდათ და ამიტომ, შეუფარდა ნაცნობი. ასევე, ისიც შესაძლოა ახალ ჰანგებს საქართველომდე ვერ ჩამოეღწია. ვფიქრობთ, რომ სწორედ ეს მიდგომა განსაზღვრავს არსებული პრაქტიკიდან გადახვევის მიზეზებს.

ძლისპირთა ჰანგები წმიდა მამამ ტექსტიდან გამომდინარე შეარჩია, რის გამოც ციკლი სხვადასხვა ხმის დედან-ჰანგებით შეიმკო. გვხვდება ყველა ხმა გარდა პირველისა. მათ, შორის, მე-5 ხმის ძლისპირი, თავისი ორიგინალური ქართული მელოდიით ყველაზე ძველია, რომელსაც ქართველები სავარაუდოდ, VIII ს-დან გალობდნენ: „ამას ა გვერდსა ოთხასი წელი უფრო ახსოვს“ — ე. ი. ეს ძლისპირები 400 წელზე მეტი ხნისაა[39].

„წაედ, ეძიებდით“, — აღნიშნავს ანდერძში მთაწმინდელი მამა, ანუ მის მიერ შერჩეულ დედან-ჰანგებს მოძიება სჭირდება. მართლაც, „შეხვეტილიანში“ წარმოდგენილი მოდელი-ძლისპირები სხვადასხვა ლიტურგიკული კრებულებიდან არის ამოკრებილი და ერთად თავმოყრილი. აქ გვხვდება ძლისპირები მარხვანიდან, პარაკლიტონიდან (საცისკრო და სამწუხრო), თვენიდან (პეტრე-პავლობის); საუფლო დღესასწაულების — ამაღლების, ნათლისღების, ღვთისმშობლის შობის და მიძინების კატავასიები, ძლისპირები წესის აგებიდან და დიდი პანაშვიდიდან. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ლიტურგიკულ პრაქტიკაში არსებულ არც ერთ მუსიკალური ციკლში ასეთი რაოდენობისა და მრავალფეროვნების ძლისპირები არ იგალობება, რაც უდაოდ ციკლის განსაკუთრებულობაზე მეტყველებს[40].

ასე აღმოჩნდა ვნების პარასკევის ცისკრის განგებაში ანტიფონის რვახმის ნაცვლად სხვადასხვა ხმის დედან-ჰანგთა (ძლისპირთა) მელოდია-მოდელები. ეს ჟანრული ცვლილება წმიდა გიორგი მთაწმინდელმა ციკლის სახელწოდებაში ასახა. მან დასდებელთა ციკლს „ანტიფონის“ ნაცვლად, „გალობანი“ უწოდა. „გალობანი“, რომელიც სხვადასხვა ძლისპირებს აერთიანებს, ზუსტად მიესადაგა ასევე სხვადასხვა ძლისპირებზე გამართულ ცისკრის ანტიფონების ციკლს. ანტონ კათალიკოსმა მარხვანში მსახურების სახელი - „გალობანი“ შეცვალა ტერმინით „აღსავალი“, ისე, რომ გიორგისეული „მარხვანის“ ყველა დედან-ჰანგი გადმოიტანა და ამით მსახურების მუსიკალური შინაარსი უცვლელი დატოვა. ქართული პასიონის გალობის მყარმა, ზეპირმა ტრადიციამ საუკუნეებს გაუძლო და XIX ს-ში ნოტებზე დაფიქსირდა წმიდა ფილიმონ ქორიძის მიერ[41]. ასე მოაღწია ჩვენამდე

[38] ხელნაწერის ფოტოპირი დაცულია ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ბიბლიოთეკაში. ხელნაწერის ციფრული ვერსიის მოწოდებისთვის მადლობას ვუხდით თსუ-ს ბიბლიოთეკის დირექტორს ზურაბ გაიპარაშვილს და ელექტრონული რერსურსების განყოფილების გამგეს თეიმურაზ ყანჩელს.

[39] აღნიშნულ ანდერძთან დაკავშირებით მოსაზრებები და დაკვირვებები გამოთქმულია სტატიაში: სამხარაძე, მონ. ნ. (2019:74-77). *წმიდა გიორგი მთაწმინდელის ერთი ანდერძ-მინაწერის განმარტებისთვის.*

[40] შევნიშნავთ, რომ ერთი მუსიკალური ციკლის ფარგლებში დასდებელთა სიმრავლით ასევე გამოირჩევა ანდრია კრიტელის დიდი კანონი, რომელიც 11 ძლისპირსა და 250 ტროპარს აერთიანებს. `შეხვეტილიანი“-ს 58 დასდებელს კი, 24 დედან-ჰანგი (ძლისპირი) აქვს შეფარდებული.

[41] წმიდა ფილიმონ ქორიძე ერისათვის თავდადებული (1835-1911 წწ.). ლოტბარი, ფოლკლორისტი, პროფესიონალი მომღერალი (ბანი). ქართველი მუსიკოსი, რომელმაც უდიდესი ღვაწლი გასწია ქართული საეკლესიო საგალობლების ნოტებზე გადაიტანის საქმეში. წმიდა ფილიმონ ქორიძის

„შეხვეტილიანში“ სხვადასხვა მსახურებებიდან საგანგებოდ ამოკრებილმა შუა საუკუნეების ძლისპირებმა, რამაც ციკლს ძლისპირთა ანთოლოგიის მნიშვნელობა შესძინა.

ვნების პარასკევის ძლისპირები თეოფანე გრაფტოსისა და დიდი შაბათის კანონებში

კოზმა იერუსალიმელის ვნების კვირის ძლისპირები დიდი პოპულარობით სარგებლობდა ბიზანტიაში და მრავალი კანონის საფუძველი გახდა. ერთ-ერთი მათგანია თეოფანე გრაფტოსის კანონი „გალობანი გოდებისათვის ღმრთისმშობლისა დაფლვასა ზედა ღრთივგვამოვანთა ხორცთა უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტესთა გოლგოთას“, რომელიც ვნების პარასკევს მცირე სერობაზე სრულდება. კანონის (ხმა 6) შექმნისას თეოფანე გრაფტოსმა მოდელად კოზმას შემდეგი ძლისპირები გამოიყენა: „შენდა აღვიმსთობთ“ (ვნების პარასკევის სამსაგალობელი, გალობა 5), „დაცვულ იქმნა, გარნა არა დაშთა“ (დიდი შაბათის კანონი, გალობა 6), „ჰოი, სასწაული“ (დიდი შაბათის კანონი, გალობა 7), „ჰანკრთი განცვიფრებით“ (დიდი შაბათის კანონი, გალობა 8), „ნუ მტირ, მე, დედაო“ (დიდი შაბათის კანონი, გალობა 9). მიუხედავად იმისა, რომ თეოფანე გრაფტოსის კანონში ძლისპირების შემთხზველი პირდაპირ არ არის მითითებული, მისი ავტორობა ირკვევა შაბათის ცისკრის კანონის ტიპიკონური შენიშვნიდან. ამ შენიშვნის მიხედვით, მე-6-დან მე-9 გალობამდე ძლისპირები, რომლებიც იდენტურია როგორც გრაფტოსის, ისე შაბათის კანონში, ეკუთვნის კოზმა იერუსალიმელს. დანარჩენი ძლისპირების ავტორები სხვა პირები არიან: *„და კვალად უკანასკნელ სძლის-პირი ორთავე გუნდთა მიერ ერთად. ხოლო არს კანონი ესე პირველის გალობითგან ვიდრე მეექვსედმდე ქმნილი არს მარკოზ მონაზონისა, იდრუნტის ეპისკოპოსისა. ხოლო სძლის-პირნი ქმნილ არიან რომლისამე დედათაგანისა, რომელსა ეწოდა კასიანა.* ***და მეექვსის გალობითგან ვიდრე დასასრულადმდე ქმნილი არს უფლისა კოსმასი“*** (ტრიოდიონი, 1901:560, ფო).

ქართულ ტრადიციაში აღნიშნული კანონი პირველად ეფრემ მცირეს უთარგმნია, ამიტომაც არ ჩანს იგი წმიდა გიორგი მთაწმინდელის რედაქციის მარხვანებში. ისტორიულად პირველი ხელნაწერი, რომელიც თეოფანე გრაფტოსის კანონს შეიცავს პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული ქართული მარხვანია — Par. 5 (XI ს.). ხელნაწერის 269 r-ზე, გალობანის დასაწყისის გასწვრივ მიწერილია კანონის ავტორისა და მთარგმნელის სახელები — „თეოფანე, თარგმანი ეფრემ“. კანონის სათაურში აღნიშნულია, რომ ამ გალობანს „ბერძენნი დიდისა პარასკევისა მწუხრსა სერობისად იტყვიან და საეკლესიოდ მიმწუხრისანი არიან, ხოლო თავის წინა ოდესცა ვის სთნდეს“, მაგრამ იგი არ გვხვდება, როგორც ადრეულ ბერძნულ[42], ისე თანამედროვე სლავურ მარხვანებში[43], ასევე მეცნიერთათვის ცნობილ თეოფანე გრაფტოსის საგალობელთა პუბლიკაციებში[44], როგორც ამას მიუთითებს მკვლევარი ლ. ხაჩიძე. მეცნიერი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს თეოფანე გრაფტოსის ვნების პარასკევის კანონის ქართულ თარგმანზე და აღნიშნავს: „ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის ნიმუში დღეისათვის მხოლოდ ძველქართული, ეფრემ მცირის მიერ შესრულებული თარგმანითაა შემონახული. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ

ხელნაწერი, რომელშიც „შეხვეტილიანის“ მხოლოდ ზედა ხმაა დაფიქსირებული, დანარჩენი ხმებით (შუა ხმა და ბანი) შეავსო დეკანოზმა რაჟდენ ხუნდაძემ, ქორიძის იმავე ხელნაწერში: №2128, (XIX ს.), „მარხვან-შეხვეტილიანი“ (ვნების პარასკევის საგალობლები), ანზორ ერქომაიშვილის სახელობის საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრშია დაცული.

[42] ΤΡΙΩΔΙΟΝ. ΚΑΤΑΝΥΚΤΙΚΟΝ. (1879).

[43] служба страстной седмицы великого поста книга вторая. (2011:90-149).

[44] Pitra. J. B. (1867). *Hymnographie de l'Église grecque.* Rome; Pitra. J. B. (1867: 409-410). *Analecta Sacra Spicilegio Solesmensi Parata (Volume 1);* Christ W., Paranikas, M. (1871:236-242). *Anthologia graeca carminum christianorum;*

ცხადყოფს ძველი ქართული თარგმანების სრულიად განსაკუთრებულ მნიშვნელობას ბიზანტიური მწერლობის კვლევისთვის“ (ხაჩიძე, ლ. (2000:158).

დასკვნა. წარმოებული კვლევა გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ სამი განგების - ვნების პარასკევის, შობისა და ნათლისღების ქრისტოლოგიური კავშირმა განაპირობა მსახურებათა ფორმების, სტრუქტურისა და ჰიმნოგრაფიულ მასალის ერთიანობა.

ა) გამოვლინდა, რომ ვნების კვირასა და შობის წინამოსამზადებელ ციკლებს შორის არსებული კავშირები სხვადასხვა დონეზე და სხვადასხვა პარამეტრის ფარგლებში გამოიხატება. დადგინდა, რომ სამი დღის დიდი ჟამების მსახურებებსა და წინა დღესასწაულების სამსაგალობლებს მჭიდრო ლიტურგიკული, ჰიმნოგრაფიული და მუსიკალური კავშირები გააჩნია, რაც მათი საერთო ძლისპირებით, საერთო პოეტური და მუსიკალური ფორმებით დასტურდება. ასევე, ნათლისღების სერობის კანონები სტრუქტურულ და შინაარსობრივ-მუსიკალურ პარალელებს ამჟღავნებენ როგორც ვნების კვირის, ისე შობის წინამოსამზადებელ ციკლებთან, რაც ამ დღესასწაულთა ლიტურგიკულ ერთობას კიდევ უფრო ამყარებს.

ბ) გაირკვა, რომ ძირითადი განგება, საიდანაც დანარჩენ სამსაგალობელთა ჰიმნები, მსახურებათა ვერბალური და პოეტური ფორმები ამოიზრდება, ვნების პარასკევია. დასკვნასთან მისასვლელად ჰიმნთა კიდურწერილობისა და „ჭრელთა“ მუხლების განმარტებათა მიმართების შესწავლა გადამწყვეტი აღმოჩნდა.

გ) ვნების პარასკევის, შობა-ნათლისღებისა და საუფლო კვართის დღესასწაულის ერთიანი საღვთისმეტყველო შინაარსი გახდა საფუძველი ანტონ კათალიკოსის გადაწყვეტილებისა, კანონის შექმნისას დაყრდნობოდა მისი წინამორბედი ავტორის - კოზმა იერუსალიმელის თხზულებებს, რომელიც გადმოსცემს ვნების კვირის მსახურების არსს და განსაზღვრავს მის ემოციურ განწყობას.

დ) გამოირკვა, რომ „ღვთისმშობლის დატირების“ კანონის შექმნისას თეოფანე გრაფტოსი კოზმა იერუსალიმელის ვნების პარასკევის სამსაგალობლისა და დიდი შაბათის კანონის ძლისპირებს დაეყრდნო. გარდა იმისა, რომ გამოვლინდა ვნების პარასკევის მცირე სერობის კანონის სიახლოვე დიდ შაბათის კანონთან, კიდევ ერთხელ წარმოჩინდა კოზმა იერუსალიმელის ჰიმნოგრაფიის მნიშვნელობა ვნების კვირის მუსიკალურ-ლიტურგიკული ციკლის ფორმირებაში.

ე) მუსიკალური შედგენილობით უნიკალური ლიტურგიკული ციკლის -„შეხვეტილიანის“ (ქართული პასიონის) ანალიზმა გამოავლინა ქართველი ჰიმნოგრაფის - გიორგი მთაწმინდელის ორიგინალური შემოქმედებითი მიდგომა, რაშიც ჩანს ერთი მხრივ ადგილობრივი ლიტურგიკული პრაქტიკის გათვალისწინება, ხოლო მეორეს მხრივ ვნების პარასკევის განსაკუთრებული მნიშვნელობის ხაზგასმა. ვნების პარასკევი რომელიც წყარო, საფუძველი და ამოსავალია სხვა მსახურებათათვის, ამ სხეულიდან მოედინება მაცოცხლებელი წყარო. „შეხვეტილიანის“ მუსიკალური აგებულებით თუ ვიმსჯელებთ (რომელშიც თავმოყრილია თითქმის ყველა ლიტურგიკულ კრებულში არსებული ჰანგები), იმავდროულად გვევლინება „მისგან ქმნილი“ მრავალფეროვნების შემკრებად და გამაერთიანებლად. მსგავსად ეკლესიისა, რომელიც მისტიური სხეულის წევრთა შეკრებას და ერთობლიობას წარმოადგენს.

მიღებული კვლევის შედეგები კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ვნების პარასკევის საგალობელთა განსაკუთრებულ მნიშვნელობას, როგორც საფუძველს სხვადასხვა დღესასწაულის საგალობელების ვერბალური და მუსიკალური სტრუქტურების ჩამოყალიბებაში. შობისა და ნათლისღების წინადღესასწაულები ორგანულად არიან დაკავშირებულნი ვნების კვირის ციკლთან, რადგან მათი სტრუქტურა იმეორებს ვნების კვირის კანონთა ლოგიკას. კოზმა იერუსალიმელის ორიგინალური შემოქმედებითი ხედვა

განსაკუთრებულად უსვამს ხაზს ამ დღეების ლიტურგიკულ ერთიანობას, რომლის საფუძველიც სახარებისეული მოძღვრებაა.

ბიბლიოგრაფია:

გაბიძაშვილი, ე. (2011) *ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები.* ბიბლიოგრაფია ტ. 5. ლიტურგიკა, ჰიმნოგრაფია. თბილისის სასულიერო სემინარია და აკადემია. https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/8913/1/Zveli_Qartuli_Mcerloba.pdf

დუღაშვილი, ე. (2014). *კოზმა იერუსალიმელის საგალობელთა უძველესი ქართული თარგმანები X ს-ის იადგარების მიხედვით (ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურის ისტორიიდან).* თბილისი, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

სადღესასწაულო თუენი. (1865). მოსკოვი.

სამხარაძე, მონ. ნ. (2018). *„შეხვეტილიანის“ ციკლის ისტორიული ჩამოყალიბებისა და მუსიკალური თავისებურებების კვლევის საკითხისთვის* (GESJ: Musicology and Cultural Science 2018|No.2 უაკ. 78. გვ. 63-71. file:///Users/macbook/Downloads/3132%20(4).pdf

სამხარაძე, მონ. ნ. (2019) *წმიდა გიორგი მთაწმინდელის ერთი ანდერძ-მინაწერის განმარტებისთვის,* ჟურნალი „სამთავროს მაყვლოვანი“, პერიოდული გამოცემა, #9 (34) აგვისტო 2019 წელი. (გვ. 74-77). მცხეთა, სამთავრო.

სამხარაძე, მონ. ნ. (2023). *The Passion of Jesus Told through Music.* Georgian Folklore Magazine. Chant-Journal #3. https://geofolk.ge/en/article/musikit-motkhrobili-qristes-vnebani/103/

ტრიოდიონი, რომელ არს სამ-საგალობელი წმიდათა და დიდთა მარხვანთა (1901). ნაბეჭდი წიგნი. სტამბა ექვთიმე ხელაძისა, ტფილისი.

უძველესი იადგარი. (1980). მეტრეველი, ე., ჭანკიევი, ც., ხევსურიანი, ლ. (რედ.). თბილისი: მეცნიერება.

წმიდა ანთიმოზ ივერიელი. (2016). *დიდაქე.* თბილისი.

წმიდა იოანე დამასკელი. (2000). *ცოდნის წყარო.* თბილისი.

ჩხეიძე, თ. (2015). *„შუაღამისანი“-ს შესრულების თავისებურებები ქართულ საღვთისმსახურო ტრადიციაში.* მოხსენებათა კრებული. გიორგი გარაყანიძის სახელობის ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის ბათუმის X საერთაშორისო ფესტივალი. ხალხური და საეკლესიო მუსიკის საშემსრულებლო პრობლემები. (გვ. 421-446). ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ჩხეიძე, თ. (2022). *ქართული გალობის ჭრელები.* გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უმაღლესი სასწავლებელი. თბილისი. https://rustaveli.org.ge/res/docs/3cae2b9e9b88363c77fd2af96538d55826816f9a.pdf

ხაჩიძე, ლ. (2000). *ქართული ქრისტიანული კულტურის ისტორიიდან.* თბილისი.

ხვთისიაშვილი, მ. (1999). *ქართული პასიონის კვლევის პირველი შედეგები.* თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სამეცნიერო შრომების კრებული. თბილისი.

ჯანგულაშვილი, ს. (პროექტის ხელმძღვანელი). (2022). *ქართული გალობა. ანთოლოგია. ტომი XXIV: დასავლეთ საქართველოს სამგალობლო ტრადიცია. დიდი*

პარასკევის საგალობლები. მაცხოვრის ვნებათა მსახურება („ქართული პასიონი“), (I ნაწილი). თბილისი.

ჯანგულაშვილი, ს. (პროექტის ხელმძღვანელი). (2022). *ქართული გალობა. ანთოლოგია. ტომი XXV: დასავლეთ საქართველოს სამგალობლო ტრადიცია. დიდი პარასკევის საგალობლები. მაცხოვრის ვნებათა მსახურება („ქართული პასიონი“), (II ნაწილი).* თბილისი.

A-85 (XIII ს.), Q-103 (XVIII ს), Q-104 (XVIII ს.), Q-298 (XIX ს.), H-2282 (XIX ს.) — *ჭრელთა წუსხები* [ხელნაწერები]. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

Andriadze, M., Chkheidze, T. (2002). *System of Chreli in Georgian Sacred Music.* The First international Symposium on traditional Polyphony. (p.450-457). Tbilisi Vano sarajishvili state conservatoire. https://drive.google.com/file/d/1SFAQ5xbR8u9aGiczCh34d3eDKwmMmQ5U/view

Ath. 38 (XI ს.). *მარხვანი* [ხელნაწერი]. ათონის მთის ივერონის ქართულ ხელნაწერთა კოლექცია. წმ. გიორგი მთაწმინდელის ავტოგრაფული ლიტურგიკული კრებული.

Chkheidze, T. (2004). *On the Interrelation of a List Chreli (Type of Hymns) and System of Neumes.* The Second international Symposium on traditional Polyphony. (p. 399-403). Tbilisi Vano sarajishvili state conservatoire. https://drive.google.com/file/d/1P6QyweSA1HSWhXDc0SaXXXLYFuNoz01b/view

Chkhikvadze, N., Karanadze, M., Kekelia, V., Shatirishvili, L. (2018). *Georgian Manuscript Book Abroad*. Korneli Kekelidze Georgian National Center of Manuscripts. ISBN 978-9941-9564-9-2. (p. 216). Tbilisi.

Christ W., Paranikas, M. (1871) *Anthologia graeca carminum christianorum. adornaverunt.* (p. 236-242.) Leipzig. https://archive.org/details/anthologiagraeca00chri/page/n3/mode/2up

служба страстной седмицы великого поста книга вторая. (2011) (Ст.90-149). Москва. https://azbyka.ru/bogosluzhenie/arh/triod-postnaja-v-russkom-perevode.pdf

Dipippo, G. (2023). *Two Medieval Hymns for Epiphany* New Liturgical Movement (NLM). Sacret Liturgy and Liturgical arts. Electronic journal. https://www.newliturgicalmovement.org/2023/01/two-medieval-hymns-for-epiphany.html

Gippert., J., Outtier., B., Kim., S. (2022). *Catalogian of the Georgian manuscripts.* (p. 366-372).Holy monastery of Iveron. Mount Athos.

H 263 (XVIII ს.), Q 298 (XIX ს.), *ძლისპირთა კრებულები* [ხელნაწერები]. თბილისის კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრში.

Janeras, S. (1988). *La Vendredi-Saint dans Ia ttradition liturgique byzantine. Structure et histoire de ses offices.* Studia Anselmiana 99. Analecta Liturgica 13. Pontificio Ateneo S. Anselmo. Rome.

Kazarashvili, E. (2022). *Canon of the Christmas Matins in Georgian Chanting Tradition (in the context of common orthodox Liturgical practice).* The Tenth international Symposium on traditional Polyphony. (p. 409-413). Tbilisi Vano sarajishvili state conservatoire. https://drive.google.com/file/d/12WCqy521ctzr0osKPvuT9-3HTfItkJye/view

Kurt, M. S. (2015). *The Origins of Chrismas and the Date of Christ's Birth.* JETS. 58/2 (p. 299-324) https://www.academia.edu/38047517/THE_ORIGINS_OF_CHRISTMAS_AND_THE_DATE_OF_CHRISTS_BIRTH

Кекелидзе, К. А. (1912). *Иерусалимский канонарь*. библиотека Киевской духовной академии. (Электронная версия от 2013 г., сканирование и создание электронного варианта). Киев.

McGowan, A., & Bradshaw, P. F. (Trans.). (2018). *The pilgrimage of Egeria: A new translation of the Itinerarium Egeriae with introduction and commentary* (Alcuin Club Collections 93). Liturgical Press Academic.

Par. Geo. 5 (XI ს.). *მარხვანი* [ხელნაწერი]. პარიზის ეროვნული ბიბლიოთეკა.

Pitra. J. B. (1867). *Hymnographie de I' Eglise grecque.* Rome.

Pitra. J. B. (1867). *Analecta Sacra Spicilegio Solesmensi Parata (Volume 1).* (p. 409-410). Paris. https://archive.org/details/analectasacraspicilegiosolesmensipar/page/n1/mode/2up

Q 666, Q 674, Q681, Q 686, Q 689, Q 690, Q 691, Q 692, Q693, Q 694, H 154[3], H 154[8] — *სანოტო კრებულები* [ხელნაწერები]. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

Sin. 1. (X ს.). *იადგარი* [ხელნაწერი]. სინას მთის წმიდა ეკატერინეს მონასტერი. Library of Congress. https://www.loc.gov/resource/amedmonastery.00279388355-ms/?sp=2

Sin. 14. (X ს.). *იადგარი* [ხელნაწერი]. სინას მთის წმიდა ეკატერინეს მონასტერი. Library of Congress. https://www.loc.gov/resource/amedmonastery.00279388872-ms/?sp=2&r=-0.271,0,1.542,0.719,0

Sin. 5 (1052 წ.). *მარხვანი* [ხელნაწერი]. სინას მთის წმიდა ეკატერინეს მონასტერი. Library of Congress. https://www.loc.gov/resource/amedmonastery.00279388318-ms/?sp=2

Tarchnischvili, M. (1959). *Le grand Lectionnaire de l'église de Jérusalem (Ve–VIIIe siècle)* (Tome I). Corpus Scriptorum Christianorum Orientalium. Louvain.

ΤΡΙΩΔΙΟΝ. ΚΑΤΑΝΥΚΤΙΚΟΝ. (2018). ΠΕΡΙΕΧΟΝ. ΑΠΑΣΑΝ ΤΗΝ ΑΝΗΚΟΥΣΑΝ ΑΥΤΩ ΑΚΟΛΟΥΘΙΑΝ ΑΠΟ ΤΗΣ ΚΥΡΙΑΚΗΣ ΤΟΥ ΤΕΛΩΝΟΥ ΚΑΙ ΤΟΥ ΦΑΡΙΣΑΙΟΥ ΜΕΧΡΙ ΤΟΥ ΜΕΓΑΛΟΥ ΣΑΒΒΑΤΟΥ. ΜΕΤΑ ΤΩΝ ΚΑΤ'ΗΧΟΝ ΤΡΙΑΔΙΚΩΝ ΥΜΝΩΝ ΚΑΙ ΦΩΤΑΓΩΓΙΚΩΝ ΚΑΙ ΤΩΝ ΕΚ ΤΗΣ ΟΚΤΩΗΧΟΥ ΣΤΙΧΗΡΩΝ ΚΑΙ ΚΑΘΙΣΜΑΤΩΝ ΕΝ ΤΩ ΤΕΛΕΙ. ΕΓΚΡΙΣΕΙ. ΤΗΣ ΙΕΡΑΣ ΣΥΝΟΔΟΥ ΤΗΣ ΕΚΚΛΗΣΙΑΣ ΤΗΣ ΕΛΛΑΔΟΣ. ΕΚΔΟΣΙΣ ΤΗΣ ΑΠΟΣΤΟΛΙΚΗΣ ΔΙΑΚΟΝΙΑΣ ΤΗΣ ΕΚΛΚΛΗΣΙΑΣ ΤΗΣ ΕΛΛΑΔΟΣ ΕΝ ΑΘΗΝΑΙΣ.

ΤΡΙΩΔΙΟΝ. ΚΑΤΑΝΥΚΤΙΚΟΝ. (1879). Rome. https://www.scribd.com/document/412032179/Triodion-Roma-1879

Tuker, G. (2024). *The Holy Friday Idiomelon.* Liturgical History between Jerusalem and Constantinople. Journal of Ecumenal Studies in Liturgy. Exfonte. Volume 3. (P. 57-82). https://exfonte.org/index.php/exf/article/view/8635/8819

№368 (XVIII ს.), №467 (XVIII ს.) — *ჭრელთა ნუსხები* [ხელნაწერები]. ქუთაისის ეთნოგრაფიული მუზეუმი.

№2100, №2121, №2122, №2124, №2126, №2127, №2128, №264, №1461 — *სანოტო კრებულები* [ხელნაწერები]. ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი. http://folk.gov.ge/baza/

References

gabidzashvili, e. (2011) *dzveli kartuli mts'erlobis natargmni dzeglebi.* bibliograpia t'. 5. lit'urgik'a, himnograpia. tbilisis sasuliero seminaria da ak'ademia. https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/8913/1/Zveli_Qartuli_Mcerloba.pdf

dughashvili, e. (2014). *k'ozma ierusalimelis sagalobelta udzvelesi kartuli targmanebi X s-is iadgarebis mikhedvit (bizant'iur-kartuli lit'erat'uris ist'oriidan).* tbilisi, k'orneli k'ek'elidzis sakhelobis khelnats'erta erovnuli tsent'ri.

sadghesasts'aulo tueni. (1865). mosk'ovi.

samkharadze, mon. n. (2018). *„shekhvet'ilianis“ tsik'lis ist'oriuli chamoqalibebisa da musik'aluri taviseburebebis k'vlevis sak'itkhistvis* (GESJ: Musicology and Cultural Science 2018|No.2 uak'. 78. gv. 63-71. file:///Users/macbook/Downloads/3132%20(4).pdf

samkharadze, mon. n., (2019) *ts'mida giorgi mtats'mindelis erti anderdz-minats'eris ganmart'ebistvis*, zhurnali „samtavros maqvlovani“, p'erioduli gamotsema, #9 (34) agvist'o 2019 ts'eli. (gv. 74-77). mtskheta, samtavro.

samkharadze, mon. n., (2023). *The Passion of Jesus Told through Music*. Georgian Folklore Magazine. Chant-Journal #3. https://geofolk.ge/en/article/musikit-motkhrobili-qristes-vnebani/103/

t'riodioni, romel ars sam-sagalobeli ts'midata da didta markhvanta (1901). nabech'di ts'igni. st'amba ekvtime kheladzisa, t'pilisi.

udzvelesi iadgari. (1980). met'reveli, e., ch'ank'ievi, ts., khevsuriani, l. (red.). tbilisi: metsniereba.

ts'mida antimoz iverieli. (2016), didake. tbilisi.

ts'mida ioane damask'eli (2000). tsodnis ts'qaro. tbilisi.

chkheidze, t. (2015). *„shuaghamisani“-s shesrulebis taviseburebebi kartul saghvtismsakhuro t'raditsiashi.* mokhsenebata k'rebuli. giorgi garaqanidzis sakhelobis polk'loruli da sasuliero musik'is batumis X saertashoriso pest'ivali. khalkhuri da saek'lesio musik'is sashemsruleblo p'roblemebi. (gv. 421-446). batumis khelovnebis sakhelmts'ipo universit'et'i.

chkheidze, t. (2022). *kartuli galobis ch'relebi.* giorgi mtats'mindelis sakhelobis galobis umaghlesi sasts'avlebeli. tbilisi. https://rustaveli.org.ge/res/docs/3cae2b9e9b88363c77fd2af96538d55826816f9a.pdf

khachidze, l. (2000). *kartuli krist'ianuli k'ult'uris ist'oriidan.* tbilisi.

khvtisiashvili, m. (1999). *kartuli p'asionis k'vlevis p'irveli shedegebi*. tbilisis sakhelmts'ipo k'onservat'oriis sametsniero shromebis k'rebuli. tbilisi.

jangulashvili, s. (p'roekt'is khelmdzghvaneli). (2022). *kartuli galoba. antologia. t'omXXIV: dasavlet sakartvelos samgaloblo t'raditsia. didi p'arask'evis sagaloblebi. matskhovris vnebata msakhureba („kartuli p'asioni“),* (I nats'ili). tbilisi.

jangulashvili, s. (p'roekt'is khelmdzghvaneli). (2022). *kartuli galoba. antologia. t'omi XXV: dasavlet sakartvelos samgaloblo t'raditsia. didi p'arask'evis sagaloblebi. matskhovris vnebata msakhureba („kartuli p'asioni“),* (II nats'ili). tbilisi.

A-85 (XIII s.), Q-103 (XVIII s), Q-104 (XVIII s.), Q-298 (XIX s.), H-2282 (XIX s.) — *ch'relta nuskhebi* [khelnats'erebi]. k'orneli k'ek'elidzis sakhelobis khelnats'erta erovnuli tsent'ri.

Andriadze, M., Chkheidze, T. (2002). *System of Chreli in Georgian Sacred Music.* The First international Symposium on traditional Polyphony. (p.450-457). Tbilisi Vano sarajishvili state conservatoire. https://drive.google.com/file/d/1SFAQ5xbR8u9aGiczCh34d3eDKwmMmQ5U/view

Ath. 38 (XI s.). *markhvani* [khelnats'eri]. atonis mtis iveronis kartul khelnats'erta k'olektsia. ts'm. giorgi mtats'mindelis avt'ograpuli lit'urgik'uli k'rebuli.

Chkheidze, T. (2004). *On the Interrelation of a List Chreli (Type of Hymns) and System of Neumes.* The Second international Symposium on traditional Polyphony. (p. 399-403). Tbilisi Vano sarajishvili state conservatoire. https://drive.google.com/file/d/1P6QyweSA1HSWhXDc0SaXXXLYFuNoz01b/view

Chkhikvadze, N., Karanadze, M., Kekelia, V., Shatirishvili, L., (2018). *Georgian Manuscript Book Abroad*. Korneli Kekelidze Georgian National Center of Manuscripts. ISBN 978-9941-9564-9-2. (p. 216). Tbilisi.

Christ W., Paranikas, M. (1871) *Anthologia graeca carminum christianorum. adornaverunt*. (p. 236-242.) Leipzig. https://archive.org/details/anthologiagraeca00chri/page/n3/mode/2up

служба страстной седмицы великого поста книга вторая. (2011) (Ст.90-149). Москва. https://azbyka.ru/bogosluzhenie/arh/triod-postnaja-v-russkom-perevode.pdf

Dipippo, G., (2023). *Two Medieval Hymns for Epiphany* New Liturgical Movement (NLM). Sacret Liturgy and Liturgical arts. Electronic journal. https://www.newliturgicalmovement.org/2023/01/two-medieval-hymns-for-epiphany.html

Gippert., J., Outtier., B., Kim., S. (2022). *Catalogian of the Georgian manuscripts.* (p. 366-372).Holy monastery of Iveron. Mount Athos.

H 263 (XVIII s.), Q 298 (XIX s.), *dzlisp'irta k'rebulebi* [khelnats'erebi]. tbilisis k'orneli k'ek'elidzis sakhelobis khelnats'erta erovnuli tsent'rshi.

Janeras, S. (1988). *La Vendredi-Saint dans Ia ttradition liturgique byzantine. Structure et histoire de ses offices.* Studia Anselmiana 99. Analecta Liturgica 13. Pontificio Ateneo S. Anselmo. Rome.

Kazarashvili, E. (2022). *Canon of the Christmas Matins in Georgian Chanting Tradition (in the context of common orthodox Liturgical practice).* The Tenth international Symposium on traditional Polyphony. (p. 409-413). Tbilisi Vano sarajishvili state conservatoire. https://drive.google.com/file/d/12WCqy521ctzr0osKPvuT9-3HTfItkJye/view

Kurt, M. S. (2015). *The Origins of Chrismas and the Date of Christ's Birth.* JETS. 58/2 (p. 299-324) https://www.academia.edu/38047517/THE_ORIGINS_OF_CHRISTMAS_AND_THE_DATE_OF_CHRISTS_BIRTH

Кекелидзе, К. А. (1912). *Иерусалимский канонарь*. библиотека Киевской духовной академии. (Электронная версия от 2013 г., сканирование и создание электронного варианта). Киев.

McGowan, A., & Bradshaw, P. F. (Trans.). (2018). *The pilgrimage of Egeria: A new translation of the Itinerarium Egeriae with introduction and commentary* (Alcuin Club Collections 93). Liturgical Press Academic.

Par. Geo. 5 (XI s.). *markhvani* [khelnats'eri]. p'arizis erovnuli bibliotek'a.

Pitra. J. B. (1867). *Hymnographie de I' Eglise grecque.* Rome.

Pitra. J. B. (1867). *Analecta Sacra Spicilegio Solesmensi Parata (Volume 1).* (p. 409-410). Paris. https://archive.org/details/analectasacraspicilegiosolesmensipar/page/n1/mode/2up

Q 666, Q 674, Q681, Q 686, Q 689, Q 690, Q 691, Q 692, Q693, Q 694, H 1543, H 1548 — *sanot'o k'rebulebi* [khelnats'erebi]. k'orneli k'ek'elidzis sakhelobis khelnats'erta erovnuli tsent'ri.

Sin. 1. (X s.). *iadgari* [khelnats'eri]. sinas mtis ts'mida ek'at'erines monast'eri. Library of Congress. https://www.loc.gov/resource/amedmonastery.00279388355-ms/?sp=2

Sin. 14. (X s.). *iadgari* [khelnats'eri]. sinas mtis ts'mida ek'at'erines monast'eri. Library of Congress. https://www.loc.gov/resource/amedmonastery.00279388872-ms/?sp=2&r=-0.271,0,1.542,0.719,0

Sin. 5 (1052 ts'.). *markhvani* [khelnats'eri]. sinas mtis ts'mida ek'at'erines monast'eri. Library of Congress. https://www.loc.gov/resource/amedmonastery.00279388318-ms/?sp=2

Tarchnischvili, M. (1959). *Le grand Lectionnaire de l'église de Jérusalem (Ve–VIIe siècle)* (Tome I). Corpus Scriptorum Christianorum Orientalium. Louvain.

ΤΡΙΩΔΙΟΝ. ΚΑΤΑΝΥΚΤΙΚΟΝ. (2018). ΠΕΡΙΕΧΟΝ. ΑΠΑΣΑΝ ΤΗΝ ΑΝΗΚΟΥΣΑΝ ΑΥΤΩ ΑΚΟΛΟΥΘΙΑΝ ΑΠΟ ΤΗΣ ΚΥΡΙΑΚΗΣ ΤΟΥ ΤΕΛΩΝΟΥ ΚΑΙ ΤΟΥ ΦΑΡΙΣΑΙΟΥ ΜΕΧΡΙ ΤΟΥ ΜΕΓΑΛΟΥ ΣΑΒΒΑΤΟΥ. ΜΕΤΑ ΤΩΝ ΚΑΤ'ΗΧΟΝ ΤΡΙΑΔΙΚΩΝ ΥΜΝΩΝ ΚΑΙ ΦΩΤΑΓΩΓΙΚΩΝ ΚΑΙ ΤΩΝ ΕΚ ΤΗΣ ΟΚΤΩΗΧΟΥ ΣΤΙΧΗΡΩΝ ΚΑΙ ΚΑΘΙΣΜΑΤΩΝ ΕΝ ΤΩ ΤΕΛΕΙ. ΕΓΚΡΙΣΕΙ. ΤΗΣ ΙΕΡΑΣ ΣΥΝΟΔΟΥ ΤΗΣ ΕΚΚΛΗΣΙΑΣ ΤΗΣ ΕΛΛΑΔΟΣ. ΕΚΔΟΣΙΣ ΤΗΣ ΑΠΟΣΤΟΛΙΚΗΣ ΔΙΑΚΟΝΙΑΣ ΤΗΣ ΕΚΛΚΛΗΣΙΑΣ ΤΗΣ ΕΛΛΑΔΟΣ ΕΝ ΑΘΗΝΑΙΣ.

ΤΡΙΩΔΙΟΝ. ΚΑΤΑΝΥΚΤΙΚΟΝ. (1879). Rome.https://www.scribd.com/document/412032179/Triodion-Roma-1879

Tuker, G. (2024). *The Holy Friday Idiomelon.* Liturgical History between Jerusalem and Constantinople. Journal of Ecumenal Studies in Liturgy. Exfonte. Volume 3. (P. 57-82). https://exfonte.org/index.php/exf/article/view/8635/8819

№368 (XVIII s.), №467 (XVIII s.) — ch'relta nuskhebi [khelnats'erebi]. kutaisis etnograpiuli muzeumi.

№2100, №2121, №2122, №2124, №2126, №2127, №2128, №264, №1461 — *sanot'o k'rebulebi* [khelnats'erebi]. anzor erkomaishvilis sakhelobis polk'loris sakhelmts'ipo tsent'ri. http://folk.gov.ge/baza/

დანართი:

ილუსტრაცია 1. შობა. ხატმწერი, მონაზონი ნანა (ქუთათელაძე), ხატი დაბრძანებულია სამთავროს წმ. ნინოს დედათა მონასტერში.



ილუსტრაცია 2. Ath.38 (320 r) წმ, გიორგი მთაწმინდელის მარხვანი. ფოტოპირი ინახება თსუ-ს ბიბლიოთეკაში.



მაგალითი 1.

ჭრელი მუხლი	ტექსტი და ჰანგის განმარტება იდენტურია	გამოყენების სიხშირე
„ქრისტე მეუფეო“	ვნების პარასკევი, II დასდებელი	82
„უსჯულოთაგან“	ვნების პარასკევი, II დასდებელი	2
„უსჯულოთა მათ“	ვნების პარასკევი, II დასდებელი	22
„და ვითარცა კრავი“	ვნების პარასკევი, II დასდებელი	16
„კრეტსაბმელი“	ვნების პარასკევი, I დასდებელი	3
„თაყვანის ვსცემთ“	შობა, განცხადება, ვნების პარასკევი	44
„მოხვედ და განცხადენ“	შობა	3
„ცოდვათა ჩვენთავის კაცთმოყვარე“	განცხადება	2
„ღმერთი უფალი“	საცისკრო ჭრელი	1
„დიდება მაღალთა შინა“	შობა	26

მაგალითი 2.

ვნების კვირა	შობა	ნათლისღება
დიდი ორშაბათი, ცისკარი, სამსაგალობელი (I, VIII, IX)	20 დეკემბერი, სერობა, სამსაგალობელი (I, VIII, IX)	2 იანვარი, სერობა, სამსაგალობელი (I, VIII, IX)
დიდი სამშაბათი, ცისკარი, სამსაგალობ. (II, VIII, IX)	-	-
დიდი ოთხშაბათი, ცისკარ. სამსაგალობ. (III, VIII, IX)	21 დეკემბერი, სერობა, სამსაგალობ. (III, VIII, IX)	3 იანვარი, სერობა, სამსაგალობ. (III, VIII, IX)
დიდი ხუთშაბათი, ცისკარი, სრული კანონი	22 დეკემბერი, სერობა, სრული კანონი (I-IX გალ.)	4 იანვარი, სერობა, სრული კანონი (I-IX გალ.)
დიდი პარასკევი, ცისკარი, სამსაგალობელი (V, VIII, IX)	23 დეკემბერი, სერობა, სამსაგალობელი (V, VIII, IX)	
დიდი შაბათი, ცისკარი, სრული კანონი (I-IX გალ.)	24 დეკემბერი, სერობა, სრული კანონი (I-IX გალ.)	5 იანვარი, სერობა, სრული კანონი (I-IX გალ.)

მაგალითი 3.

ვნების პარასკევი	შობის დღესასწაული	ნათლისღების დღესასწაული
ფერხგანბანილნი, წინათ განწმენდილნი ღმრთისა გონებისა დაფარულთა ზიარ ქმნითა მსახურნი შენნი ქრისტე სიონით ზეთისხილთათ მთად თანა აღმოგყვეს მგალობელნი კაცთმოყვარე	ცნობაგანბანილნი, წინათ განწმენდილნი დაფარულთა ზიარ ქმნითა საშინელისა განგებისა ხორცით და სულით ბეთლემ ქალაქად აღვიდეთ მეუფისა ხილვად შობილისა	ცნობაგაწმედილნი, წინათვე განბანილნი დაფარულთა ზიარ ქმნითა საშინელისა განგებისა ყოველნი მორწმუნენო მოსვლასა ქირსტესსა მივეგებნეთ იორდანისა ნაკადულითა განწმედად კაცთა

მაგალითი 4.

ვნების პარასკევი		შობის დღესასწაული		ნათლისღების დღესასწაული	
V გალობის I დასდებელი	მარცვლ. რაოდენ	V გალობის I დასდებელი	მარცვლ. რაოდენ	V გალობის I დასდებელი	მარცვლ. რაოდე
შენდა აღვიმსთობთ	5	**შენდა აღვიმსთობთ**	5	**შენდა აღვიმსთობთ**	5
მოწყალებისათვის	**5**	**მოწყალებისათვის**	**5**	**მოწყალებისათვის**	**5**
დაცემულისა მის	6	დაცალიერებულისა	8	თავისა თვისისა	6
და ვნებათამდე	5	დაცემულთა მათ	5	წარმომცალიერებე ლისა	9
უვნებელად შთამოსრულისა მის	10	მონათამდე უქცეველად შთამოსრულისა	13	მონისა ხელითა ნათლისღებისა მნებებელისა	16
სიტყვაო ღმერთისაო მომეც	8	**სიტყვაო ღმერთისაო მომეც**	8	**სიტყვაო ღმერთისაო მომეც**	8
მე მშვიდობა კაცთმოყვარე	8	**მე მშვიდობა კაცთმოყვარე**	8	**მე მშვიდობა კაცთმოყვარე**	8

მაგალითი 5.

ვნების პარასკევის სამსაგალობელი		საუფლო კვართის დღესასწაულის საცისკრო კანონი	
მე-8 გალობის I დასდებელი	მარცვლების რაოდენობა	მე-8 გალობის I დასდებელი	მარცვლების რაოდენობა
სიბოროტისა ძეგლი ღვთისმბრძოლი	10	სიბოროტისა ძეგლი ღვთისმბრძოლი	10
ყრმათა ღირსთა განაქიქეს	8	ყრმათა ღირსთა განაქიქეს	8
ხოლო ქრისტესთვის შეთქმული დღეს უსჯულო შესაკრებელი	17	ხოლო ქრისტესთვის შეთქმული დღეს უსჯულო შესაკრებელი	17
განიზრახავს ცოდვასა	7	განიყოფს სამოსელსა	7
იწურთის სიკვდილსა	6	განსწილავს კუართსა	6
ცხოვრებისა მპყრობელსა ხელითა	10	ცხოვრებისა მპყრობელსა ხელითა	10
რომელსა ქებით ყოველი აღგებული	12	რომელსა ქებით ყოველი აღგებული	12
ძნობს დიდებისმეტყველი	7	ძნობს დიდებისმეტყველი	7

მადლიერება: კვლევა განხორციელდა 2022 წლის ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის კონკურსში გამარჯვებული პროექტის (FR-22-7504) „ვნების კვირის საგალობლები ქართულ საეკლესიო ტრადიციაში“ ფარგლებში.

Acknowledgment: The study is supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia and Giorgi Mtatsmindeli University of Chant, in the frame of Fundamental Research Grants No FR-22-7504 “Holy Week Chants in Georgian Church Tradition.”